გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

# აჭარა

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№26 (24.906) შაბათი, 19 - 21 მარტი, 2022 წ. 50 თეთრი

## გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით თოვლჭყაპი, მაღალ მთაში - ქარბუქი, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 1-6, შიდამთიან რაიონებში - 0-3 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 9 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 771 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს კი უნალექო ამინდი იქნება.

## კრიალოსანი იუსი

საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის პრემიერ-მინისტრი მათეუშ მორავიეცკი საქართველოდან გაემგზავრა. კოლეგა, სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ვიცე-პრემიერ დავით ზალკალიანთან, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ვოლსკისა და მთავრობის ადმინისტრაციის უფროს ილია დარჩიაშვილთან ერთად გააცილა. მათეუშ მორავიეცკი საქართველოში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით 17 მარტს იმყოფებოდა.

* * *

„მინისტრის საათის“ ფორმატში, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დეპუტატებმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურს მოუსმინეს. მან სამინ-



ისტროს ძირითად მიმართულებებზე, უწყების საქმიანობის სპეციფიკაზე, არსებული გამოწვევების ფონზე სამინისტროს მიერ გატარებულ ღონისძიებებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, უპასუხა პარლამენტართა შეკითხვებს.

* * *

შალვა პაპუაშვილი საქართველოში საბერძნეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს მარია თეოდოროუს შეხვდა. პარლამენტის თავმჯდომარემ მადლიერება გამოხატა საბერძნეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროკავშირის წევრობის განაცხადზე. ხაზი გაესვა ევროკავშირის წევრობის მოპოვების გზაზე პარლამენტის როლს და გეგმებს იმ რეფორმებზე, რომლებმაც ქართული კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასთან უნდა დააახლოოს.

* * *

საქართველოს პარლამენტში უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მოსმენა იქნება სიმბოლური ჟესტი, რათა ქვეყანამ სახელმწიფოებრივი პრესტიჟი აღიდგინოს, - განაცხადა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა. „არ მაქვს დიდი მოლოდინი, რომ „ქართული ოცნება“ დათანხმდება, მაგრამ ვფიქრობ, ზეწოლა უნდა იყოს ძალიან მაღალი“, - აღნიშნა მან „ლელოს“ ინიციატივაზე საუბრისას.

**მოამზადა ია შველიძემ**

# ჩვენ 101 წლისა ვართ

## საკუთარი სიმართლის დაცვისას ყველაზე ცუდი არგუმენტი ოპონენტის ლანძღვაა

***ზეიმის დრო არ არის - მომაკვდინებელი ვირუსით დაზაფრულებს ახლა ომის მეხი დაგვეცა თავს. რუსეთის აგრესიის შედეგად უკრაინის ნგრევითა და გმირი პატრიოტების, უბრალო მოქალაქეების, ქალების და ბავშვების დაღუპვით გამოწვეული თანაგრძნობა და ტკივილი ცამდე იზრდება და უზარმაზარ დარდისფერ ღრუბლად გაიწელა საქართველოს ცაზე. ამასობაში „აჭარას“ კიდევ ერთი წელი შეემატა მეორე ასწლეულის გზაზე - 101-ის შესრულდა და კვლავ აგრძელებს ჩვენი კუთხის ისტორიის აღწერას***

დიახ, ვერ ვდღესასწაულობთ, უბრალოდ, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ „აჭარას“ საკმაოდ რთული მისია იმთავითვე დაეკისრა - პირველი ბეჭდური მედია ყოფილიყო ოსმალთა ბატონობით ნაიარევ და შემდეგ რუსული იმპერიის უღელქვეშ საქართველოს საზღვრებში მოხვედრილ რეგიონში. საუკუნის განმავლობაში უამრავ გამოწვევას გაუმკლავდა და დიდ სირთულეებს გაუძლო, დღემდე მოვიდა სიძნელეების მიუხედავად და ეს პირველ რიგში იმათი დამსახურებაა, ვინც ამ გაზეთის იმიჯს ათწლეულების განმავლობაში ქმნიდა, უმეტესად იმ ადამიანების, ვინც დღეს ცოცხალი აღარაა მათ მოუპოვეს „აჭარას“ ის სიყვარული, რომელმაც მისი მკითხველი თავის დროზე გამოცემის გაუქმების წინააღმდეგ დარაზმა და ამ კუთხეს ერთგული მემატიანე შეუნარჩუნა.

რაც შეეხება დღევანდელ „აჭარას“ - უკეთეს ფორმაშიც ვყოფილვართ, მაგრამ ამ არცთუ ისე იოლ პერიოდში უკიდურესად მცირე რესურსის (უტრანსპორტობა, დაბალი ანაზღაურება, ღარიბი ტექნიკური ბაზა) პირობებში მაქსიმუმის გაკეთებას ვცდილობთ. ესაა: ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა და მისი ანალიზი, განსხვავებული, მათ შორის, ჩვენთვის მიუღებელი, შეხედულების, პოზიციის დაფიქსირება, მათი დაბალანსება, სახელმწიფოებრივი ინტერესების გატარება ზოგჯერ არაპოპულარული პუბლიკაციების ფასად, იმ ადამიანების ნაღვაწ-ნაამაგარის დაფასება, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღვის ქვეყნის წინაშე, ახალი სახელების, მომავალი თაობების მისწრაფებების, მათი ინტერესების წარმოჩენა, ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე, საზოგადოებრივ თემებზე მსჯელობა, ნაკლოვანებებზე საუბარი, სამოქალაქო აზროვნების განვითარების მცდელობა...

ჩვენს გაზეთს ყოველთვის ჰქონდა საკუთარი ნიშა. მისი მიზანი რეალობის ასახვა და ამ რეალობის შემოქმედი ადამიანების დახატვა იყო, თუმცა რეალობის დანახვის საკუთარ კრიტერიუმებს ხშირად გვკარნახობდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები. ასე იყო ავადსახსენებელი კომუნისტების დროს, ქართული დემოკრატიის გარიჟრაჟზეც (ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პერიოდში), ორი ბაბუს (ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის) მმართველობის ჟამსაც, „დემოკრატიის გიგანტების“ (მიხეილ სააკაშვილის და მისი ამალის) ზეობის ხანაშიც. რუსული ანდაზის არ იყოს, ვინც ფულს იხდიდა, მუსიკასაც ის უკვეთავდა, თუმცა ყველას ავიწყდებოდა, რომ ფინანსების პირველწყარო ხალხის ჯიბეა და გაზეთიც სწორედ მის სამსახურში უნდა ყოფილიყო და არა რომელიმე პარტიისა და ხელისუფლების. . . თუმცა ერთგული მკითხველი იმასაც შენიშნავდა, რომ „აჭარის“ ჟურნალისტები სიმართლეს ამ პირობებშიც, ხანდახან სტრიქონებს შორისაც აპარებდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ მხოლოდ ამ ხელისუფლების დროს შეწყდა მავნე ტრადიცია, დღეს „ზემოდან“ აღარაფერს გვკარნახობენ, თუმცა გვაქვს საკუთარი სტანდარტი, რომელიც ვითარდება. შეგვიძლია წარბშეუხრელად ვთქვათ, რომ გაზეთი „აჭარა“ შესაბამისი ყურადღებით და ინტენსივობით აშუქებს ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან მოვლენას და არასდროს გამოდის რომელიმე მხარის როლში, ერთადერთ მიკერძოებად შეიძლება სახელმწიფო (და არა - ხელისუფლების) ინტერესების გატარება ჩაგვეთვალოს, მაგრამ ეს საპატიო მისიაა.

რასაკვირველია, ვცდილობთ, არ დავკარგოთ ძველი ნიშა - მემატიანის მისია, იმ გამორჩეული ადამიანების ღვაწლის წარმოჩენა,




რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ რეგიონის, სრულიად საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. ვცდილობთ, ფეხი ავუწყოთ თანამედროვე რიტმს, რომელიც მეტ ოპერატიულობას და სხვა ცვლილებებს გვკარნახობს, თუმცა ახალი ტექნოლოგიები (ძველიც), რომლის გარეშეც დღეს თანამედროვე მედია წარმოუდგენელია, მიუწვდომელია ჩვენთვის. პრობლემები არის, რომელთა დამოუკიდებლად გადაწყვეტა შეუძლებელია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, რომელიც შარშან, ასი წლის იუბილეზე გვეწვია, შეასრულა პირობა და რედაქციის 15 წლის გაურემონტებელი ფართის რეაბილიტაციის და ახალი ინვენტარის შეძენის შესაძლებლობა მოგვცა.

ვხედავთ და გვიხარია, რომ მარტონი არა ვართ, ზურგს გვიმაგრებენ ამ გაზეთის მესაძირკვლენიც, ადამიანები, რომლებმაც ამ ასი წლის განმავლობაში თავიანთი ნიჭი და შრომისუნარიანობა ჩადეს გამოცემაში, რომელიც რეგიონის სისხლხორცეული ნაწილი გახდა და განუზომელი წვლილი შეიტანა მის განვითარებაში, იმ პრობლემების დაძლევაში, რაც წინა საუკუნის 20-ანი წლებით დაწყებული, აქტუალური, სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო მთელი საქართველოსთვის და მისი განუყოფელი ნაწილის - აჭარისთვისაც. გვაძლიერებს ჩვენი მკითხველის ერთგულება და სიყვარული.

ჩვენ თუ არა, სხვამ ვინ იცის, რომ დრონი მეფობენ, ხოლო დროს კი სიყვარული სჯაბნის. მხოლოდ ამიტომ გაუძლო გაზეთმა, რომელმაც რამდენიმე სახელი - „უწყებები“, „პროლეტარული ბრძოლა“, „ფუხარა“, „საბჭოთა აჭარისტანი“, „საბჭოთა აჭარა“ - გამოიცვალა და ამჟამად „აჭარა“ ჰქვია, დროს და მის ქარტეხილებს. ამიტომ იცოცხლებს დიდხანს, მანამ, სანამ ხალხს დასჭირდება.

ჩვენმა არქივმა ყველა რთულ პერიოდზე შემოინახა ინფორმაცია. „გაზეთ „უწყებების“ რედაქცია არანორმალურ პირობებში იმყოფება, მის პასუხისმგებელ სარედაქციო კოლეგიის წევრთ არა აქვთ დრო და მოცლა...“ („უწყებები“, № 75, 1921 წლის 23 ივნისი); „ჩვენს გაზეთებს, დღიდან მათი სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისა, მთავრობისაგან არ მიუღია არც ერთი მანეთი სუბსიდია და თუ, მიუხედავად ამისა, ისინი დღესაც განაგრძობენ არსებობას, ეს მიეწერება გაზეთებზე მომუშავე პირთა საქმის უაღრეს სიყვარულს და უჩვეულო ენერგიას“ („პროლეტარული ბრძოლა“) № 430, 1922 წლის 7 სექტემბერი).

„...სტამბის ხარჯები, ქაღალდის ფასის ზრდა, ასოთამწყობთა ხელფასის გადიდება და სხვა მრავალი ხარჯები, დღითი დღე იზრდება, რაც გაზეთის არსებობას ემუქრება... ჩვენ ერთხელ კიდევ მოვაგონებთ ბათუმის მუშებს, რომ გაზეთის მდგომარეობა უკიდურესად კრიტიკულია და თუ დროზე არ მოეშველნენ თავიანთ გაზეთს კოლექტიური ხელისმოწერით, დაისმება მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი“ („პროლეტარული ბრძოლა“, 1922 წლის 20 ივნისი).

„აჭარისტანის სინამდვილეში, ეს ჯერ გაუგონარი ამბავია. აჭარისტანს ჯერ არ ახსოვს საკუთარი გაზეთი ტირაჟით 2000 ცალამდე... რედაქციას და გამომცემლობას საბუთი აქვთ იფიქრონ, რომ „ფუხარას“ ტირაჟის ზრდა არ შეჩერდება“ („ფუხარა“, № 86, 1926 წლის 17 აპრილი).

„შვიდი წლის ცხოვრება, შვიდი წლის გამარჯვებები და დამარცხებები, გაბედული შეტევა და მოხერხებული უკანდახევა, სასტიკი ბრძოლა სიბნელესთან და სინათლის პირველი სხივები - ვინ მოთვლის, რა არ ასახულა ამ ორიათასი ნომრის ფურცლებზე. გაზეთის ისტორია საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაა“ („ფუხარა, № 2000, 1928 წლის 27 მაისი).

ასე წლიდან წლამდე, ნომრიდან ნომრამდე იზრდებოდა ჩვენი გაზეთი...

საუკუნეგადაბიჯებულ „აჭარას“ გასავლელ გზაზე კვლავ ელის სირთულეებიც და მიღწევებიც. არც ერთი იქნება ჩვენთვის მოულოდნელი და არც მეორე. დღეს, საყოველთაო შეჭირვების ჟამს, ისევე განვიცდით უკრაინაში რუსეთის მიერ გაჩაღებულ ბრძოლას არა მარტო დემოკრატიის, არამედ სრულიად ცივილიზაციის და ადამიანურობის წინააღმდეგ, როგორც სრულიად კაცობრიობა. უკრაინის შემდეგ განსაკუთრებულად რთულია ეს პერიოდი საქართველოსთვის. დღეს ყველა ქართველმა უნდა გააცნობიეროს, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი საერთაშორისო სარბიელზე კარგად გააზრებული და აუცილებლად ერთიანი უნდა იყოს. ქართველს ყოველთვის სჩვეოდა აზრთა და მისწრაფებათა განსხვავებულობა, რის ნიადაგზე განხეთქილებაც და მისი შედეგებიც არაერთხელ ვიწვნიეთ. დღეს ყოფნა-არყოფნის მორიგ ზღვარზე მყოფებმა, განსაკუთრებულად უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ პირველ ყოვლისა, ერთმანეთის მოსმენა გვმართებს და არა ჩვენი აზრების უპირატესობის თავგადაკლული მტკიცება. საკუთარი სიმართლის დაცვისას ყველაზე ცუდი არგუმენტი ოპონენტის ლანძღვაა. ამგვარ კამათში ჭეშმარიტება არ იბადება. ბეწვის ხიდზე სიარულისას ბალანსის დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჩვენ კი უფსკრულის პირას ვდგავართ, რომელსაც სწორედ ბეწვის ხიდით უნდა დავაღწიოთ თავი - დავიმახსოვროთ ეს, სამშობლოს სიყვარული პირველ ადგილზე დავაყენოთ და ერთად ვიფიქროთ, რისი გაკეთება შეგვიძლია მისთვის. გაზეთი „აჭარა“ ყოველთვის ამ პრინციპის ერთგული იყო და განსაკუთრებულად უერთგულებს ახლანდელ, ურთულეს დროშიც, რომლის შემდეგაც, იმედია, დადგება ბოროტების იმპერიის - რუსეთის დამარცხების ხანაც და საქართველოს ლაღად და უშიშრად სუნთქვის საშუალება მიეცემა. ამ ბედნიერებას ვუსურვებ ჩემს მშობლიურ გაზეთსაც და ქვეყანასაც.

**მარინა მითაიშვილი**

**დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93**

# პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი – საქართველოში



***საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა 17 მარტს ბათუმში, პოლონელ კოლეგას მათეუშ მორავიეცკის უმასპინძლა, რომელიც დელეგაციასთან ერთად, საქართველოს ერთდღიანი სამუშაო ვიზიტით ეწვია***

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოსა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრები პირისპირ და გაფართოებულ ფორმატში შეხვდნენ ერთმანეთს. პირისპირ შეხვედრაზე მხარეებმა უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გამოწვევები, ასევე, ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ ასოცირებული ტრიოს ქვეყნების - საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას მიერ წარდგენილი განაცხადები განიხილეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა და სოლიდარობა უკრაინისადმი როგორც ორმხრივ, ისე საერთაშორისო ფორმატებში, ისაუბრა ჰუმანიტარულ დახმარებაზე, რომელსაც ქართული მხარე უკრაინელ ხალხს უწევს. პრემიერ-მინისტრებმა აღნიშნეს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივი ძალისხმევის როლი ვითარების დეესკალაციისთვის და იმსჯელეს იმ ზომებზე, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა ომის რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის მიმართავს.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ მისწრაფებებზე, აღინიშნა ამ გზაზე ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესი. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა, რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს მიერ წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით ევროკომისიის დადებით გადაწყვეტილებას და ამ პროცესში საერთაშორისო პარტნიორების, მათ შორის, პოლონეთის მხარდაჭერას. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ეს ქართველი ხალხის ისტორიული არჩევანია. საქართველო აცნობიერებს, რომ ეს ხანგრძლივი პროცესია, თუმცა მოტივირებულია, განაგრძოს წინსვლა და კომპლექსური რეფორმების წარმატებით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრებმა ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული და უსაფრთხოების კუთხით არსებულ რთულ ვითარებაზე.

პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი, საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. ხაზი გაესვა საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს და ძლიერ პარტნიორობას, რომელიც ორ ქვეყანას აკავშირებს. 2022 წელი საიუბილეოა ორმხრივ ურთიერთობებში, რამდენადაც დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენიდან 30 წელი სრულდება. გამოითქვა ორმხრივი მზადყოფნა, სტრატეგიული პარტნიორობისა და სხვადასხვა სფეროში მაღალი დონის დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავებისთვის.

პირისპირ შეხვედრის შემდეგ, მოლაპარაკებები გაფართოებულ ფორმატში გაგრძელდა, რომელშიც პოლონეთის მხრიდან მონაწილეობდნენ: სახელმწიფო მდივანი მინისტრის რანგში პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან - მიხალ დვორჩიკი, სახელმწიფო მდივანი მინისტრის რანგში პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან - იან ჯიეჯიჩაკი, სახელმწიფო მდივანი, პოლიტიკური კაბინეტის თავმჯდომარე - კშიშტოფ კუბუვი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე - მარიუშ პშიდაჩი, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი მრეკ კოროვაიჩიკი და პოლონეთის ელჩი საქართველოში - მარიუშ მაშკიევიჩი.

ქართული მხრიდან შეხვედრას ესწრებოდნენ: ვიცე-პრემიერი, საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ზალკალიანი, პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე - გიორგი ვოლსკი და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი - ილია დარჩიაშვილი.

## ერთობლივი ბრიფინგი

„პოლონეთი საქართველოს გამორჩეული მეგობარი და პარტნიორია, რომელთანაც გვაკავშირებს სტრატეგიული თანამშრომლობა და მჭიდრო ურთიერთობები მთელი რიგი მიმართულებებით. ჩვენ წარმატებით ვთანამშრომლობთ როგორც ორმხრივ, ასევე მრავალმხრივ ფორმატებში და ვართ დაინტერესებული, მოტივირებულები, რომ კიდევ უფრო განვავრცოთ ჩვენი მრავალგანზომილებიანი ურთიერთობები. ვაფასებთ პოლონეთის მტკიცე მხარდაჭერას ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ჩვენი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრების შემდეგ გამართულ ერთობლივ ბრიფინგზე. როგორც მან აღნიშნა, საქართველო და პოლონეთი ყოველთვის იდგნენ გვერდიგვერდ მძიმე წუთებში და გაიხსენა პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გმირობის ტოლფასი საქციელი, როდესაც იგი, ევროპელ ლიდერებთან ერთად, ჩამოვიდა თბილისში 2008 წლის აგვისტოში და დადგა ქართველი ხალხის გვერდით, ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი თანადგომისა და მხარდაჭერის კიდევ ერთი ნათელი გამოხატულებაა.

პრემიერმა სინანულით გაიხსენა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის მიმართ არავითარი სანქციები არ დაუწესებიათ მაშინდელ მსოფლიო ლიდერებს პრეზიდენტ კაჩინსკის მოწოდებების მიუხედავად, მიელოთ მკვეთრი და თამამი გადაწყვეტილებები საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, მაშინდელმა ქართულმა ხელისუფლებამაც კი არ დაუწესა სანქციები რუსეთს, მხოლოდ დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვიტა, ამასთან, რუსეთს მიჰყიდა სტრატეგიული ენერგეტიკული ობიექტები, მხარი დაუჭირა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. და ეს ყველაფერი მოხდა ომის შემდეგ.

„შედეგად, საქართველო დღესაც ოკუპირებულია, სტატუს-კვო არ შეცვლილა, ჩვენი ქვეყნის 20% არის ოკუპირებული. ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში გვიწევს გამკლავება ოკუპაციასთან, გამოწვევასთან, რომელიც დაკავშირებულია ბორდერიზაციასთან, ჩვენი მოქალაქეების გატაცებასთან, მათ ციხეებში ჩასმასთან... ეს არის ის რეალობა, რომელიც არის შექმნილი ჩვენს ქვეყანაში აგვისტოს ომის შემდეგ. შესაბამისად, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, თუ რამხელა რისკები და რამხელა ტრაგედია მიმდინარეობს ახლა უკრაინაში“, - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

„დღევანდელი ვიზიტი ემთხვევა განსაკუთრებულ გარემოებებს, რომელიც აყენებს ჩრდილს ჩვენს ორ არაჩვეულებრივ ერს შორის არსებული თანამშრომლობის განვითარებას. ეს გარემოებებია რუსეთის მიერ განხორციელებული უპრეცედენტო, სასტიკი თავდასხმა უკრაინაზე - პოლონეთის მეზობელსა და საქართველოს შორეულ მეზობელზე. ეს არის ის მომენტი, როდესაც აუცილებელია, გავიხსენოთ პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს თბილისში ნათქვამი სიტყვები, რომლებიც სამწუხაროდ, წინასწარმეტყველება აღმოჩნდა: „დღეს საქართველოა, ხვალ - უკრაინა, ზეგ - ბალტიისპირეთის ქვეყნები და შემდეგ კი, შესაძლებელია, ჩემი ქვეყნის, პოლონეთის ჯერიც დადგეს“. ეს ყველამ კარგად უნდა გავიაზროთ. სწორედ ამიტომაა დღეს ასეთი მნიშვნელოვანი ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია ამ დიდი პოლიტიკური კრიზისის დასამარცხებლად, რომელიც გამოწვეულია რუსეთის ფედერაციის სამხედრო თავდასხმით უკრაინაზე... საქართველოს პრემიერთან ერთად მიგვაჩნია, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ევროპული ფასეულობების დასაცავად მებრძოლი უკრაინელების მხარდასაჭერად“, - აღნიშნა თავის გამოსვლაში პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მათეუშ მორავიეცკიმ. მან კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა, რომ პოლონეთი კვლავაც მტკიცედ უჭერს მხარს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ საქართველოს მისწრაფებას არა იმიტომ, რომ ვინმეს წინააღმდეგ არის ეს მიმართული, არამედ „სურს მშვიდობა, უსაფრთხო გარემოში თანამშრომლობა დემოკრატიულ სახელმწიფოებთან და ჩვენს დიდ მეზობელთან. ჩვენი თანამშრომლობა არაა მიმართული არავის წინააღმდეგ, არამედ ყველას საკეთილდღეოდ“.

## ლეხ კაჩინსკის ძეგლი – ბათუმის ახალ ბულვარში

„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რათა სამუდამოდ უკვდავვყოთ ქართველი ხალხის დიდი მეგობრის, საქართველოს ეროვნული გმირის, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის სახელი, მისი ნათელი ხსოვნა,- განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც ბათუმის ახალ ბულვარში, თავის პოლონელ კოლეგა მათეუშ მორავიეცკისთან ერთად, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ძეგლი გახსნა.

„მისი ტრაგიკული, უდროო გარდაცვალება ჩვენმა ხალხმა ისევე განიცადა, როგორც მოძმე პოლონელებმა. ლეხ კაჩინსკის ხსოვნის უკვდავყოფით ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს პატივისცემას, მადლიერებას მისდამი და ამავე დროს, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ისტორიულ არჩევანს, ღირსეული ადგილი დავიმკვიდროთ ევროპის თავისუფალ ერთა ოჯახში. დიდება ჩვენს გმირებს!“ - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

იხ. მე-7 გვ.

# აჭარის მთავრობა ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 28 ოჯახს დაეხმარება

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***აჭარის მთავრობა ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულ 28 ოჯახს დაეხმარება. საკითხი შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე განიხილეს.*** სხდომას აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჟარაძე ხელმძღვანელობ-



და. კომისიის რეკომენდაციითა და აჭარის არ მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ფინანსური დახმარება ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული 28 ოჯახს გაეწევა. გამოიყოფა 319 528 ლარი, რაც მოხმარდება დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობა-რეაბილიტაციას.

„შერეული სამთავრობო კომისიის მორიგ სხდომაზე კომისიის წევრებმა განიხილეს ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარების საკითხი. კომისიის რეკომენდაცია უახლოეს დღეებში გადაეგზავნება მთავრობის თავმჯდომარეს. დახმარებას 28 ოჯახი მიიღებს, აღნიშნული თანხა 12 ეკომიგრანტ და 13 ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე გადანაწილდება“, - განაცხადა სტიქიით დაზარალებულთა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დალი ქიქავამ.

2022 წელს, იანვრიდან დღემდე, აჭარის მთავრობის სარეზევო ფონდიდან სტიქიისა და ხანძრის შედეგად დაზარალებულ 69 ოჯახს ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 1 060 976 ლარი.

# მერები – ეკონომიკური ზრდისთვის

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

***ევროკავშირის მიერ დაფინანსებული რეგიონული ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG) ფარგლებში, მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელის შექმნისა და დანერგვის მიზნით გამოცხადებული კონკურსის გამარჯვებული ბათუმის მუნიციპალიტეტია***

პროექტი გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) თანამშრომლობით ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში, ბათუმი და ქუთაისი მუნიციპალური გარდაქმნის პორტფელებს შექმნიან და მათ დანერგვას დაიწყებენ, რისთვისაც თითოეული მათგანი 225 000 ევროს მიიღებს.

მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი გულისხმობს ქალაქის წინაშე არსებული გამოწვევების საპასუხოდ კომპლექსური მეთოდებისა და მიდგომების შემუშავებას.

„მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ - ინიციატივის მიზანია მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, რაც გულისხმობს მერებისა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე,



რათა მათ აქტიურად შეუწყონ ხელი ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

პროექტის ფარგლებში, პირველ ეტაპზე უკვე მომზადდა ბათუმის ეკონომიკური განვითარების გეგმა.

საქართველოს მუნიციპალიტეტების ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ოთხ ქვეყანაში 2021 წელს ჩატარებული რეგიონული კონკურსის შედეგია. საკონკურსო წინადადებები ოთხივე ქვეყნის 300 მუნიციპალიტეტის მიერ იყო წარდგენილი.

# აკაკი ბერიძე: მგონია, რომ რუსეთის აგრესია იქნება საბჭოთა კავშირის ნანგრევების – რუსეთის ფედერაციის ჩამოშლის დასაბამი

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ისეთი ქვეყნები, როგორიც საქართველო და უკრაინაა, ომის ჭრილობებს დიდხანს ვერ მოიშუშებენ და ამას 2008-2022 წლების ომები ცხადყოფს. დასავლეთი არ ეგუება რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ და ქმედით ნაბიჯებს დგამს ამ ქვეყნის მხარდაჭერისთვის. კაცობრიობას მეტი საშიშროება შეექმნებოდა, რომ არა მექანიზმი, რომელიც ცალკეული სახელმწიფოს აგრესიას აღკვეთს და სათანადო ზომებს მიმართავს მშვიდობის და პროგრესის განმტკიცებისთვის. ამ მექანიზმის ერთ-ერთი მთავარი რგოლია ჰააგის საერთაშორისო სასამართლო, რომელმაც ამასწინათ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტი მიიღო. 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით უკრაინამაც შეიტანა რუსეთის წინააღმდეგ მსგავსი სარჩელი ჰააგის სასამართლოში. ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ლექტორი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი **აკაკი ბერიძე**. აქვე დავძენთ, რომ მისი მოსაზრებები არ გამოხატავს იმ ორგანიზაციის პოზიციას, რომელთანაც დაკავშირებულია შრომითი საქმიანობით.*



**- ბატონო აკაკი, როგორც ცნობილია, ჰააგის საერთაშორისო სასამართლო 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულებს იძიებს, ვიდრე ამის შესახებ ვისაუბრებდეთ, ორიოდ სიტყვით – როდის დაარსდა ეს სასამართლო და რა შედის მის კომპეტენციაში?**

- ბევრჯერ შევხვედრივარ მასმედიაში ამგვარ კონოტაციას - ჰააგის სასამართლო იხილავს შესაბამის დავას. ჰააგის სასამართლოში აქ იგულისხმება ყველა ის სასამართლო, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო მართლმსაჯულებას, თუმცა არასწორი ინტერპრეტაცია ხდება მასმედიის მხრიდან, რაც ჩემი აზრით, საკითხის სრულყოფილად არცოდნის შედეგია. დაინტერესებული მკითხველისათვის ალბათ, პირველ რიგში, განსამარტია ჰააგაში არსებული სასამართლოების გამიჯვნა კომპეტენციის კუთხით, კონკრეტულად იმ სასამართლოების, რომელთაც აკისრია საერთაშორისო მართლმსაჯულების მისია და შეიქმნა გაერთიანებული ერების ჩართულობითა და მანდატით. ჰააგაში არსებობს რამდენიმე სასამართლო - მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ( ICJ), სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (ICC), რომლის წესდების საფუძველზეა შექმნილი იუგოსლავიის მოვლენებთან დაკავშირებით მოქმედი ტრიბუნალი (ICTY - ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი). საქართველოსთვის ამ სამი სასამართლოდან მნიშვნელოვანი არის ორი სასამართლო - მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, სადაც საქართველოს მიერ შეტანილ საქმეებს განიხილავენ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ფუნქციაა სახელმწიფოებს შორის არსებული დავის განხილვა. რაც შეეხება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, მისი კომპეტენცია რეგულირდება რომის წესდებით და აქ რომის წესდებით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დანაშაულებზე ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას აწესებენ - ანუ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ეხება ინდივიდებს, ადამიანებს, ვინც სჩადიან ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა აგრესია, ომის დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებები. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ისტორია მიბმულია ერთა ლიგის და გაერთიანებული ერების ჩამოყალიბების ისტორიას, ჰააგის სამშვიდობო კონფერენციას. ზოგადად, საერთაშორისო სამართალში დავების გადაწყვეტის სხვადასხვა მექანიზმი არსებობს. დავების გადაწყვეტის მექანიზმები ასახულია გაეროს წესდების 33-ე მუხლში, რომელიც სახელმწიფოთაშორისი დავების მშვიდობიანად გადაწყვეტის შემდეგ მეთოდებს ითვალისწინებს: მოლაპარაკება, მედიაცია, კონსულტაცია, არბიტრაჟი, სასამართლო დარეგულირება, რეგიონალური სააგენტოებისთვის მიმართვა ან შუამავლობა. ჰააგის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საქართველოს ჰქონდა სარჩელი შეტანილი 2008 წელს როგორც აგვისტოს ომის ეპიზოდებთან, ასევე 90-იან წლებში რუსეთის მიერ აფხაზეთში ქართველთა ეთნიკური წმენდის შესახებ. სასამართლომ დაადგინა, რომ „არ გააჩნია უფლებამოსილება, განიხილოს საქართველოს მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს შეტანილი სარჩელი“, რომელშიც საქართველო აცხადებდა, რომ რუსეთმა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) 1965 წლის საერთაშორისო კონვენციით აღებული ვალდებულებები 1990 წლიდან 2008 წლის აგვისტომდე პერიოდში სამ სხვადასხვა დროს დაარღვია, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ინტერვენციების დროს. სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მართებულად მიიჩნია რუსეთის არგუმენტი, რომლის თანახმადაც საქართველოს არ უცდია კონკრეტულად CER-თან დაკავშირებული საკითხები რუსეთთან განეხილა და ასევე, არ უცდია კონვენციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული დავის მოგვარების სხვა მექანიზმების გამოყენება, სანამ ის პირდაპირ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიმართავდა. თუმცა, სასამართლომ არ გაიზიარა რუსეთის კიდევ ერთი არგუმენტი, რომლის თანახმადაც თბილისსა და მოსკოვს შორის „არანაირი დავა“ არ არსებობდა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და რომ თბილისს ეს საკითხი ოფიციალურად არასდროს დაუყენებია პირდაპირ მოსკოვის წინაშე. ამ სასამართლოში საქმის განხილვა არ შეწყვეტილა, შეჩერებულია მანამ, სანამ საქართველო არ ამოწურავს კონვენციით დადგენილი მოლაპარაკებების მექანიზმს და საქართველოს კიდევ აქვს საფუძვლიანი ბერკეტები, რომ საქართველოს სასარგებლოდ შეაბრუნოს დავა. ამისგან რადიკალურად განსხვავებული არაა საერთაშორისო სისხლის სასამართლოს ჩამოყალიბების ისტორია. იდეაში ესეც დიდი სახელმწიფოების კონსენსუსის ნაწილი იყო, თუმცა მისი ჩამოყალიბება გახდა ერთგვარი შეჯამება და ცენტრალიზებული ორგანოს შექმნა მსოფლიოში მიმდინარე ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევებზე საომარი მდგომარეობის დროს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეთა ძალებმა შექმნეს პირველი საერთაშორისო ომის დანაშაულების ტრიბუნალი, რომელიც ცნობილია, როგორც ნიურნბერგის სასამართლო პროცესი, რათა დაესაჯათ ნაცისტი ჩინოვნიკები. თუმცა, მხოლოდ 1990-იან წლებში ბევრი სახელმწიფო გაერთიანდა მუდმივი საერთაშორისო სასამართლოს ჩამოყალიბების იდეით, რათა დამნაშავეებმა პასუხი აგონ მსოფლიოს ყველაზე მძიმე დანაშაულებზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჯერ შექმნა ad hoc საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალები ყოფილ იუგოსლავიასა და რუანდაში ომის დანაშაულებთან დაკავშირებით, მაგრამ ბევრი საერთაშორისო სამართლის ექსპერტი მიიჩნევდა მათ არაეფექტურ და არაადეკვატურ შემაკავებელ ფაქტორებად. ტრინიდადმა და ტობაგომ 1989 წელს მიმართა გაეროს, რათა ჩამოყალიბებულიყო მუდმივი სასამართლო 1989 წელს. მომდევნო წლებში ასეთმა ძალისხმევამ მოიპოვა მხარდაჭერა, განსაკუთრებით ევროპასა და აფრიკაში. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამფუძნებელი ხელშეკრულება მიიღო გაეროს გენერალური ასამბლეამ რომის კონფერენციაზე 1998 წლის ივლისში. მას შემდეგ რაც რატიფიცირებული იქნა სამოცზე მეტი ქვეყნის მიერ, რომის სტატუტი ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს და სასამართლომ ფუნქციონირება დაიწყო.

**- ახლახან ჰააგის სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო, ეს რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის?**

- ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ საქართველოს მოსახლეობის მიმართ აგვისტოს ომის დროს ჩადენილი მძიმე დარღვევები რუსეთის ფედერაციისა და სეპარატისტული რეჟიმების კონკრეტული წარმომადგენლების კისერზეა. კერძოდ, ჰააგის სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, აგვისტოს ომის დროს ქართველი სამოქალაქო ტყვეების წამებისა და არასათანადო მოპყრობის ეპიზოდზე სასამართლოს პროკურორმა დაკავების ბრძანებები გასცა 3 ბრალდებულის მიმართ: მიხაილ მინძაევი (მითითებულ პერიოდში ცხინვალის რეგიონის ე.წ. შინაგან საქმეთა მინისტრი); ჰამლეტ გუჩმაზოვი (მითითებულ პერიოდში ცხინვალის რეგიონის ე.წ. შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორის უფროსი); დავით სანაკოევი (მითითებულ პერიოდში ე.წ. ომბუდსმენი). გამოძიების ფარგლებში, აგრეთვე, გამოკვეთილია აწ გარდაცვლილი ვიაჩესლავ ბორისოვის (მითითებულ პერიოდში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალ-მაიორი და საჰაერო ძალების მეთაურის მოადგილე) როლი, რომელმაც, გამოძიების ვარაუდით, განზრახ ხელი შეუწყო ზემოხსენებული დანაშაულების ჩადენას. პროკურორის ოფისის მიმართვა დაპატიმრების ორდერების გაცემის თაობაზე კონკრეტულად უკავშირდება რუსეთის მიერ ოკუპაციის პირობებში, ქართველი სამოქალაქო მოსახლეობის უკანონო დაკავების, არაადამიანური მოპყრობის, მძევლად აყვანისა და შემდგომი უკანონო გადაადგილების ფაქტებს. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს მსგავსად, ჰააგის სასამართლოს პროკურორიც პირდაპირ აღნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ. 2016 წლიდან საქართველოს მთავრობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოორდინაციით, გენერალური პროკურატურისა და ყველა შესაბამისი უწყების ჩართულობით, აქტიურად თანამშრომლობდა ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისთან და აწვდიდა გამოძიების ჯეროვანი წარმართვისათვის საჭირო სრულყოფილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს. პროკურორის ოფისს მიეწოდა სტრასბურგის სასამართლოში აგვისტოს ომის საქმის მოსაგებად შეგროვებული და წარდგენილი ასეულობით მტკიცებულებაც. ჰააგის სასამართლოს პროკურორის ოფისის ახლანდელი გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის მიერ ზემოაღნიშნული მტკიცებულებების წარდგენის შედეგი და სტრასბურგის ისტორიული გამარჯვების ლოგიკური გაგრძელებაა. საერთაშორისო სისხლის სასამართლოს მიერ გაცემული - სამი პირის დაკავების ბრძანებებში აღნიშნულია, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. ჩემთვის ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩანაწერი დოკუმენტებში.

**- როგორც ცნობილია, რუსეთი არ თანამშრომლობს ჰააგის სასამართლოსთან, კერძოდ, არ არის მიერთებული რომის სტატუტის დებულებასთან, ეს რისი მანიშნებელია?**

- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებასთან, რომის წესდებასთან არ არის მიერთებული მსოფლიოში თითქმის ყველა დიდი სახელმწიფო. ამ სასამართლოს ხშირად ეძახდნენ აფრიკის სახელმწიფოებზე მორგებულ სასამართლოს, რადგან საქმეები, ძირითადად, ამ ქვეყნებზე მოდიოდა. საინტერესოა აშშ-ის პოზიცია ამ სასამართლოზე. აშშ-მა ჯერ დაასპონსორა მისი ჩამოყალიბება, წესდების მიღება, ხელი მოაწერა მასზე, მაგრამ ობამას ადმინისტრაციის დროს ეს ხელმოწერა გამოითხოვა. ეს იყო ერთ-ერთი ძალიან სპეციფიკური შემთხვევა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების აღიარებაზე და იურისდიქციის ცნობაზე. რუსეთს არ აქვს ხელმოწერილი არც ჟენევის კონვენციები, რომელიც ეხება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, ანუ შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ომის დროს წესების დაცვას. ეს განპირობებულია იმით, რომ რუსეთი თავს არიდებს საერთაშორისო პასუხისმგებლობას ადამიანის უფლებათა დარღვევებზე.

იხ. მე-7 გვ.

## უცხოეთი

ევროპარლამენტმა რუსეთის ფედერაციისა და ბალარუსის დიპლომატებს ბრიუსელსა და სტრასბურგში მდებარე ორგანიზაციის შენობებში შესვლა აუკრძალა. „დემოკრატიის სახლში არ არის იმათი ადგილი, ვინც დემოკრატიული წესრიგის დარღვევას ცდილობს“, - განაცხადა ევროპარლამენტის თავმჯდომარე რობერტა მეცოლამ.

* * *

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გერმანიის კანცლერ ოლაფ შოლცთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა, რომ უკრაინა „ახალ-ახალი არარეალისტური წინადადებების წამოყენებით“ სულ უფრო ცდილობს მოლაპარაკებების პროცესის გაჭიანურებას. ამის შესახებ კრემლის საიტზე განთავსებულ ინფორმაციაშია აღნიშნული. მათივე პრესსამსახურის ცნობით, „სატელეფონო საუბრის ინიციატორი იყო გერმანული მხარე. საუბრისას რუსეთის პრეზიდენტმა კანცლერის ყურადღება გაამახვილა უკრაინული ძალების მიერ საცხოვრებელ კვარტლებზე განხორციელებულ სარაკეტო დავდასხმებზე დონეცკსა და მაკეევკაში, რაც დასავლეთის მხრიდან იგნორირებული იყო“.

* * *

ვლადიმერ პუტინი დასავლეთს შესაძლოა ბირთვული იარაღის გამოყენებით დაემუქროს, თუ რუსეთის შეჭრაზე უკრაინის წინააღმდეგობა გაგრძელდება, - აღნიშნულის შესახებ საუბარია აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს ანგარიშში, რომელსაც გამოცემა „ბლუმბერგი“ ეხმაურება. „იმდენად, რამდენადაც ეს ომი ნელ-ნელა დაასუსტებს რუსეთის არმიას, დიდი ალბათობით, რუსეთი, თავისი ძალის დემონსტრირების მიზნით, სულ უფრო დაეყრდნობა შეკავების ბირთვულ საშუალებებს“, - ნათქვამია ანგარიშში. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ჩინოვნიკები ცდილობენ ჩინეთის პოზიციის გარკვევას ომთან დაკავშირებით, აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი გეგმავს ამ ქვეყნის ლიდერს სი ძინპინს სთხოვოს მოსკოვზე ზეწოლის გაძლიერება და ამ უკანასკნელის იძულება, შეწყვიტოს ომი.

* * *

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყებიდან დღემდე ამ ქვეყნიდან პოლონეთის ტერიტორიაზე 2 მილიონზე მეტი ადამიანია გადასული. ინფორმაცია პოლონეთის საზღვრის დაცვის სამსახურმა გაავრცელა. „დღეს, 18 მარტს, 9:00 საათის მონაცემებით, ლტოლვილთა რიცხვმა 2 მილიონს გადააჭარბა. ეს ძირითადად არიან ქალები ბავშვებით“, - განაცხადეს გუშინ უწყებაში. მანამდე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ ამერიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 186 მლნ დოლარი გამოიყოფა ჰუმანიტარული დახმარებისა და უკრაინელი ლტოლვილების მხარდაჭერისთვის.

* * *

ცეცხლის შეწყვეტის იმედი ორივე მხარესთან შეხვედრის შემდეგ გაიზარდა, თუმცა როდესაც საქმე ომს ეხება, ამაზე საუბარი ძნელია, - განაცხადა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან გამართული შეხვედრის შემდეგ. მისივე თქმით, არსებობს შესაძლებლობა, რომ ვლადიმერ პუტინი და ვოლოდიმირ ზელენსკი ერთმანეთს შეხვდნენ.

მოამზადა
ია შველიძემ

# „სუიციდური ჟინით განმსჭვალული ბევრი ადამიანი გვყავს ქვეყანაში“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტმიმომხილველ **სოსო მანჯავიძესთან** (ჩაწერილია 17 მარტს).*

**- ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები მოდის ფრონტის წინა ხაზიდან. თუ გაქვთ ზუსტი ცნობები, რა ხდება უკრაინაში, საითკენაა გადახრილი ომის სასწორი?**

- არათანაბარია ეს ომი, რაც გასაგები უნდა იყოს ყველასთვის. ფაქტია, რომ უკრაინის შეიარაღების დიდი ნაწილი განადგურებულია. აქ იგულისხმება ავიაცია, საზენიტო, საარტილერიო კომპლექსები, იმ საწარმოების დიდი წილი, სადაც უშვებდნენ, მაგალითად, ტანკ „ოპლოტს“ (ხარკოვში), ან ხდებოდა სამხედრო ტექნიკის შეკეთება. ეს იმ პერიოდში ხდება, როდესაც რუსეთის ბომბდამშენები უკრაინის თავზე ბატონობს. პირველი შოკის შემდეგ, როგორც კი გონზე მოეგნენ უკრაინელები, ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს რუსეთის არმიას. რუსეთის მხრიდან ეს შეტევა ცუდად იყო დაგეგმილი, რადგან აგებული აღმოჩნდა არასწორ წარმოდგენებზე და, ტექნიკური უპირატესობა რომ არა, შესაძლოა, პირველი კრახიც განეცადა, თუმცა, ვხედავთ, რომ უკვე აიღეს ხერსონი, მარიუპოლი, სადაც ყველაზე მძლავრი სამხედრო დაჯგუფება „აზოვი“ იყო ალყაშემორტყმული. ახლა აქ თავმოყრილ ძალებს მოხსნიან რუსები და მიმართავენ სხვა სამიზნეებისკენ. ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მიმდინარეობს უკრაინის ყველაზე ბრძოლისუნარიანი სამხედრო დანაყოფების ალყის შემორტყმის პროცესი. მოგეხსენებათ, უკრაინელთა ყველაზე კარგად გამაგრებული შეიარაღებული ნაწილები განლაგებულია დონეცკის და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების გასწვრივ მაშინ, როდესაც რუსეთი ჰაერიდან აკონტროლებს, უკრაინელებს ამ ჯარის დებლოკადირების ანუ ბლოკადიდან მოხსნის და ტერიტორიიდან გაყვანის შანსიც არ ეძლევათ. უკრაინელები მაქსიმალურად ცდილობენ შეტევების განხორციელებას, ასეთი იყო ხერსონის ოლქში აეროდრომის დაბომბვა, რის შედეგადაც რუსეთის ბევრი სამხედრო ტექნიკა განადგურდა და დაზიანდა, თუმცა ეს ეპიზოდური წარმატება ვერ ცვლის უკრაინაში მიმდინარე ომის ხასიათს, რადგან ბრძოლები ძალთა იმ გათვალისწინებით მიმდინარეობს, რომელიც არსებობს, ანუ ნატო ამ ომში ფიზიკურად არ ერევა, გარდა იმისა, რომ ახდენს მოხალისეების მობილიზაციას, იარაღის მიწოდებას, რუსეთის წინააღმდეგ აწარმოებს სანქციურ ომს, რომელიც აზიანებს როგორც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, ისე ეკონომიკასაც, მაგრამ ვერ ახდენს გავლენას ომის შედეგებზე. ვგულისხმობ, ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ წინ მიიწევს რუსეთის არმია და ერთიმეორეს მიყოლებით ბლოკავს უკრაინის საჯარისო ნაწილებს, აგრძელებს გზას, თანდათან იკავებს უკრაინის ტერიტორიას და სულ უფრო ახალ რეზერვებს რთავს ბრძოლებში. ეს მაშინ, როდესაც უკრაინას არ აქვს საშუალება, აღიდგინოს სამხედრო პოტენციალი ამ კატასტროფული დანაკარგების შემდეგ... ასეთია მიმდინარე ომში არსებული რეალური ვითარება. რაც შეეხება პროპაგანდას, ყოველთვის იყო და იქნება, განსაკუთრებით ომების წარმოების პროცესში. მოწინააღმდეგეები ერთმანეთის დანაკარგებს ამრავლებენ 5-7-8-ჯერაც კი, თავისას ამცირებენ სტატისტიკისთვის. ამას ყველა ვხედავთ. ასევე ჩანს „ფეიკ ნიუსების“ განუსაზღვრელი რაოდენობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ქვეყნების რიტორიკა და მოწოდებების - „უკრაინელებო, გამაგრდით, გააგრძელეთ ბრძოლა“ - ზნეობრიობა, ძნელი შესაფასებელი არ არის. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა კამალა ჰარისმა, რომელიც არაკომპეტენტურობით და კომიკურობით გამოირჩევა, პოლონეთში საოცარი სიტყვა თქვა: რომ ის მხარს უჭერს უკრაინელ ხალხს, რომელიც იცავს ნატოს რუსეთისგანო. ეს აღნიშნა მსოფლიო პრესამ. ისიც სიმპტომატურია, რომ თეთრი სახლი სწორედ მას უშვებს დედამიწის

> *„უკრაინელები მაქსიმალურად ცდილობენ შეტევების განხორციელებას, ასეთი იყო ხერსონის ოლქში აეროდრომის დაბომბვა, რის შედეგადაც რუსეთის ბევრი სამხედრო ტექნიკა განადგურდა და დაზიანდა, თუმცა ეს ეპიზოდური წარმატება ვერ ცვლის უკრაინაში მიმდინარე ომის ხასიათს, რადგან ბრძოლები ძალთა იმ გათვალისწინებით მიმდინარეობს, რომელიც არსებობს, ანუ...*



ურთულესი კრიზისის განსამუხტად იმის მიუხედავად, რომ ამ ქალბატონს არ აქვს საგარეო პოლიტიკაში არავითარი წონა.

**- პრეზიდენტ ზელენსკის ყველა ჩართვას აღფრთოვანებით და ოვაციით ხვდებიან, მაგრამ მან ჯერჯერობით ისევ ვერ მიაღწია მთავარ მიზანს - ცის ჩაკეტვას რუსული თვითმფრინავებისთვის. მის სიტყვას უსმენენ, მაგრამ არ ესმით.**

- რა თქმა უნდა, ზელენსკის აქვს თავისი ფუნქცია შესასრულებელი. იმის იქით მისი აზრი და მიმართვები არავის აინტერესებს. მიმდინარეობს გეოპოლიტიკური ომი, რომლის მიზანიც მოწინააღმდეგის დასუსტება და, თუ გამოუვათ, ისე განადგურებაა, რომ არ მიიღონ საპასუხო დარტყმა და ზიანი. ეს სტრატეგიაში უწერიათ ამერიკელებს და ახორციელებენ. გამოვაქვეყნე სტატია, Red Korporation-ის კვლევა, „ანაკონდის მარყუჟის თანამედროვე ვარიაციები“. ექვსი სტრატეგიაა და ყველას წითელ ხაზად გასდევს, როგორ უნდა გააღიზიანო და ახარჯვინო რესურსები რუსეთს ისე, რომ არ მიადგეს ზიანი აშშ-ს, მის მოკავშირეებს და კონფლიქტი არ მივიდეს ბირთვულ ომამდე. ცხადია, ინიციატივა დასავლეთის ხელშია, რუსეთი კი თავისი იმპერიული ძლიერების აღდგენას ცდილობს. სწორედ ეს არის გეოპოლიტიკური ომი, რომელიც არასდროს ჩერდება, რადგან ამ პოლიტიკის სასტიკი კანონების მიხედვით, რისთვისაც არ იბრძვი, იმას კარგავ. უკრაინა აღმოსავლეთ ევროპაა, რაზედაც დასავლურ გეოპოლიტიკურ სკოლის ფუძემდებლებს ჰელფორდ ჯონ მაკინდერს, ნიკოლას სპიკმენს და სხვებს ჰქონდათ განსაკუთრებული გათვლები. სხვათა შორის, მაკინდერს ეკუთვნის გამონათქვამი: „ის, ვინც აკონტროლებს აღმოსავლეთ ევროპას, აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს, ხოლო ის, ვინც აკონტროლებს მსოფლიო კუნძულს (იგულისხმება ევრაზია), ის აკონტროლებს მსოფლიოს“. ამას ხშირად იმეორებდა ზელენსკიც, ის იმასაც ამბობდა, რომ „რუსეთი უკრაინასთან ერთად არის გლობალური იმპერია, მის გარეშე კი რეგიონალური სახელმწიფო“. ამას ვამბობ, რომ გვესმოდეს, რატომ არის ასეთი გააფთრებული ბრძოლა. იმთავითვე გასაგები იყო, რომ ამ გეოპოლიტიკური ხაზის გადმოწევა უკრაინისკენ და იქ თანამედროვე შეიარაღების განლაგება, რუსეთს აიძულებდა ეხმარა კონტრზომები. მანამდეც ვწერდი, რომ ეს დააყენებდა კაცობრიობას ატომური ომის საფრთხის წინაშე, რაც შესრულდა კიდეც. დატრიალდა ომის მორევი, რომელიც მეტ და მეტ ქვეყნებს ითრევს. თუ დროზე არ შეჩერდა, მივიღებთ უმართავ პროცესებს, როგორც ხშირად ხდებოდა ისტორიაში - აქტორებს ეგონათ, სიტუაციას აკონტროლებდნენ, მაგრამ შემდეგ ველარაფერს ახერხებდნენ მის შესაჩერებლად.

**- მოლაპარაკებები გრძელდება. ამჟამად რუსეთისა და უკრაინის დელეგაციები თავიანთ პოზიციებზე დგანან. სადავო პუნქტებზე შეთანხმებას შესაძლოა, რამდენიმე დღიდან კვირანახევრამდე ვადა დასჭირდესო, განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის აპარატის უფროსის მრჩეველმა მიხაილ პოდოლიაკმა.**

- ვერც ერთი მხარე დათმობებზე ვერ წავა, სანამ ბრძოლები მიმდინარეობს. ცხადია, რუსეთს თამასა მაღლა აქვს აწეული და კიდეც რომ უნდოდეს, ვერ მოახერხებს დათმობებზე წასვლას, თუნდაც მინსკის შეთანხმების მსგავსად. პუტინს შეურიგებელი პოზიცია უჭირავს, ისეთი მოთხოვნები აქვს, რომელთა შესრულების შემთხვევაში უკრაინის ვერც ერთი ხელისუფალი ადგილზე ვერ შენარჩუნდება. რეალური მოლაპარაკებები შედგება მხოლოდ მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას მოიპოვებს. მსგავსი შანსი დღეს უკრაინას არ აქვს. ზელენსკი იმედოვნებს, პროპაგანდის მეშვეობით, მოსახლეობას იმედი მისცეს, ამასთან, მიიღოს შეიარაღება და ისეთი ზიანი მიაყენოს რუსულ ჯარს, რომ ვეღარ გააგრძელოს ბრძოლა, თან მაქსიმალურად გაწელოს დრო. რამდენად რეალისტურია გათვლა, ამის შეფასება მკითხველისთვის მიმინდვია. გათვლა, რომ შიგ რუსეთში მოხდებოდა დესტაბილიზაცია, არ გამართლდა, პირიქითი პროცესი წავიდა, სამი მილიონი მოხალისე ჩაეწერა უკრაინაში საომრად. მოგვწონს თუ არა, ფაქტია, რომ ასეთი მენტალიტეტის მოსახლეობა ჰყავს რუსეთს. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას დასჩემდა ფსიქიკური ავადმყოფობა - ფაქტებს ებრძვიან. როდესაც რეალურ ანალიზს აკეთებ, ჰგონია, ვიღაცის მხარეს ხარ. არადა, ვცდილობ, ობიექტურად წარმოვაჩინო რეალობა. ურჩევნიათ, უსმინონ გორდონს, რომელიც თვლის, რომ მოსკოვთან არიან და პუტინი მკვდარია. მახსენდება ისტორიული მაგალითები, როდესაც პროპაგანდისტებმა ბევრი ხალხი დაღუპეს. რაღა შორს წავიდეთ, 2008-ში ტელევიზიით უყურებდნენ, რომ ჯავასთან იბრძოდა ჩვენი ჯარი და ამ დროს კაზაკები დაადგნენ სახლებში. ახლა ცეკვა-თამაშზე აღარაფერს ვიტყვი. საქართველო პატარაა, ყველაფერი უცებ გაირკვა, უკრაინა დიდია. ერაყში ჰყავდათ „მართალი ალი“, მთავრობის პრესსამსახურის უფროსი. ტელეგადაცემებიც მიჰყავდა. აცხადებდა, ამერიკელები ბუზებივით იხოცებიან უდაბნოში, უკვე დამარცხდნენო, თვითმფრინავები ჩამოვყარეთ, გემები ჩავძირეთო და... ამ დროს სტუდიაში წაადგნენ ამერიკელი სამხედროები.

**- პრინციპში, ისიც ხომ ფაქტია, რომ ომის პირველ ეტაპზე რუსებმა ბევრი ჯარისკაცი დაკარგეს?**

- კი, რუსები თავიდან დაიბნენ, მაგრამ შემდეგ აზრზე მოვიდნენ, უზარმაზარი რესურსები აქვთ, როგორც სამხედრო, ისე ადამიანური, 1941 წელს მილიონობით ჩავარდა ტყვედ, მაგრამ შემდეგ რაც მოხდა, ისიც ვიცით. ნაპოლეონმა ხომ, საერთოდ, მოსკოვი აიღო, მაგრამ... აღარ გავაგრძელებ. აქვთ დიდი ომების წარმოების გამოცდილება და რა გინდა, რომ ქნა? რამდენჯერ აიღეს ევროპის დედაქალაქები, ვინ მოთვლის. ამ ტრადიციების ქვეყანაა და არ შეიძლება მისი უგულებელყოფა.

**- ქალაქებს რატომ არ იღებენ?**

- როდესაც ქალაქს იღებ, იქ იხოცება ადგილობრივი მოსახლეობა, ბევრი მსხვერპლია, თანაც რთულია მძიმე ტექნიკის, საარტილერიო და სხვა ოპერაციების წარმოება. მაშინ სულ უნდა გადაასწორო შენობები, რასაც, ალბათ, ერიდებიან. ცდილობენ, ბლოკირებით გადაწყვიტონ საქმე. მარიუპოლში შევიდნენ, სხვაგვარად წარიმართა საქმე. მოკლედ, მიმდინარეობს სასტიკი ომი დასავლეთსა და რუსეთს შორის უკრაინის ტერიტორიაზე.

**- საქართველოს მთავრობის პოზიციაზე რას გვეტყვით?**

- საქართველოს მთავრობა ცდილობს, ჰუმანიტარული დახმარება გაუწიოს უკრაინელებს, შეუერთდა ყველა საერთაშორისო რეზოლუციას, რომელიც ამ ომს გმობს, მაგრამ თავი შეიკავა იმ სანქციებისგან, რომელმაც შესაძლოა, ქვეყანას ფატალური შედეგები მოუტანოს, ანუ გამოიწვიოს რუსეთის უმართავი რეაქცია. მხოლოდ იდიოტს ძალუძს ამის გაუთვალისწინებლობა.

**- ბევრი არ დაგეთანხმებათ ამ გამოთქმაში, ბატონო სოსო...**

- სამწუხაროდ, სუიციდური ჟინით განმსჭვალული მართლაც ბევრი ადამიანი გვყავს ქვეყანაში. ისინი აღგზნებული არიან იმ პროპაგანდით, რომელიც მოედინება მედიის საშუალებით, რაშიც ლიდერობენ „ნაცების“ იდეოლოგიის ქვეშ მოქცეული ტელეარხები. საოცარი არაადეკვატური რიტორიკის ტყვეობაში მოქცეული ხალხი ცდილობს, რომ არსებული ომი გადაიყვანონ გაბედულების, სიმამაცის ზნეობრივ კატეგორიაში. ყველაზე დიდი კომედია ის არის, რომ ზნეობასა და სამშობლოს დაცვაზე ალაპარაკდნენ ის ადამიანები, რომლებიც ამას ებრძვიან მთელი ცხოვრება. თუნდაც უსუფაშვილი, „გირჩი“ და სხვები აქეთ გვამუნათებენ, როგორ არ გინდათ ჩაერთოთ ომშიო, არადა, თავად ებრძოდნენ ეროვნული სახელმწიფოს იდეას და ეროვნულ ნარატივს. დავალება აქვს მიღებული დასავლეთიდან ამ მეხუთე კოლონას.

**- პრინციპში, სწორედ დასავლეთმა მოახვია უკრაინას თავს ომი, პუტინი ვინცაა, ვიცით, მაგრამ ამათი შეშფოთება-აღშფოთება უკვე გამაღიზიანებელია.**

- კი, ასეა, გვავალებენ მათთვის ბრძოლას. როდესაც გამოზრდი მთავრობებს, რეჟიმებს, ის უნდა გამოიყენო ნებისმიერ გეოპოლიტიკურ ბრძოლაში როგორც მოდარაჯე ძაღლი, რომელსაც ამისთვის აპურებ და გყავს.

**- რუსეთიდან მოქალაქეების საქართველოში შემოსვლაზე რას გვეტყვით?**

- დიდ საშიშროებას ისინი არ წარმოადგენენ. სხვადასხვა მიზეზით წამოვიდნენ რუსეთიდან. აქ დიდხანს არ გაჩერდებიან. უმჯობესია, თუ მათ მიმართ არ გავამჟღავნებთ აგრესიულ, მტრულ დამოკიდებულებას. მშვიდად უნდა დავიცვათ ჩვენი ინტერესები. ხიზანი უნდა დააპურო, შეიფარო, მაგრამ არ უნდა მისცე მას, ქვეყანაში დარჩენის და აქ ეთნიკურ-რელიგიური ბალანსის შეცვლის საშუალება, რისი საფრთხეც ამ შემთხვევაში არ გაქვს. ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ უკრაინაში საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ, მით უმეტეს, თუ რუსეთმა მიაღწია მიზანს, პოსტსაბჭოთა სივრცეში რადიკალურად შეიცვლება ვითარება. ამისთვის, მენტალურად უნდა ვიყოთ მზად. მაქსიმალურად შევეცადოთ, რომ გეოპოლიტიკური ძალების გადალაგება-გადაჯგუფება ჩვენს ხარჯზე არ მოხდეს. ეს არის დღეს ქართველი ხალხის ამოცანა და არა გარე ძალების დაკვეთით გაპატრიოტებული სუბიექტების აქეთ-იქით წანწალი და მათი პიარი.

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა



აჭარის უმაღლეს საბჭოსა და სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციას“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ამის შესახებ ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ავრცელებს.

დოკუმენტს, რომელიც 5 პუნქტისა და სხვადასხვა ქვეპუნქტისგან შედგება, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ და მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარე ირაკლი ყანდაშვილმა მოაწერეს ხელი. მემორანდუმი ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის საკანონმდებლო ორგანოსა და ასოციაციას შორის მჭიდრო თანამშრომლობას ისახავს მიზნად.

ამირან გურიელიძე

# „მეტი სისხლი დაიღვრება, მაგრამ რას ვიზამთ, თავისუფლება უსისხლოდ არ მოდის“

ხატია იაშვილი 27 48 93

*__მურმან დუმბაძე__, ყოფილი რესპუბლიკელი, „ემსახურე საქართველოს“ დამფუძნებელი, ადამიანი, რომელიც ყველა მთავრობას უდგას ოპოზიციაში, ახლაც არ კარგავს იმედს, რომ ერთ დროს მისივე ნომერ პირველი მტერი მიხეილ სააკაშვილი, მალე გათავისუფლდება ციხიდან და ჩაუდგება უკრაინა-რუსეთის ომს სათავეში. მისი აზრით, „მიშა ერთადერთი ადამიანია, რომელმაც კარგად იცის, როგორ ეომოს რუსეთს“. მურმან დუმბაძე დარწმუნებულია, რომ უკრაინამ უკვე მოიპოვა გამარჯვება და სადაცაა ევროკავშირშიც შევა. საქართველო კი დარჩება გარეთ, რადგან საკუთარი მთავრობა უშლის ხელს ჩაებას სამართლიან ომში და სისხლით მოიპოვოს თავისუფლება.*



**- ბატონო მურმან, რა ხდება რუსეთ-უკრაინის ფრონტზე?**

- არაფერი ახალი იქ არ ხდება. რუსეთმა 21-საუკუნეშიც დაამტკიცა, რომ აგრესორია და რომ მის იმპერიულ მადას და მოთხოვნილებებს საზღვარი არ აქვს. მან ჯერ კიდევ 2008 წელს დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლა, 2014 წელს - უკრაინის წინააღმდეგ, წაიღო ყირიმი და... აგრძელებს მიტაცებებს, სუვერენული სახელმწიფოების ხელყოფას. მოკლედ რომ ვთქვათ, ახალი ახლაც არაფერი ხდება, რუსეთი ჩვეულ ამპლუაშია, რაც არ გვიკვირს იმ ქვეყნებს, რომლებსაც არაერთხელ დაგვესხა თავს და წაგვგლიჯა ტერიტორიები.

**- ახალი ის არის, რომ ამჯერად, კოლექტიურმა დასავლეთმა ხმა ამოიღო და დამანგრეველი სანქციები დაუწესა ამდენ ხანს დაუსჯელად გადარჩენილ რუსეთს. ისიცაა, რომ პუტინმა ჯერაც ვერ შეძლო უკრაინის დამორჩილება, არავინ ელოდა ამხელა წინააღმდეგობას.**

- დიდია უკრაინა და 40 მილიონი ჰყავს მოსახლეობა. ასე იოლი რომ არ იქნებოდა პუტინისთვის ამხელა სახელმწიფოს ხელყოფა, ეს უნდა სცოდნოდა. ალბათ, იმედი ჰქონდა, შიშით დამნებდებიანო, მაგრამ გაუწიეს მედგარი წინააღმდეგობა და ამით დაამტკიცეს, რომ საკუთარ ქვეყანას არავის დაანებებდნენ. ამ ეტაპზე უკრაინის დაპყრობა პრაქტიკულად შეუძლებელია. დღეს უკვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რუსეთმა უკრაინასთან ომი წააგო.

> ‚‚ *აქ სხვა ფინალი არ არსებობს. მით უმეტეს, რომ უკრაინას მხარს უჭერს მთელი ცივილიზებული სამყარო, დაწყებული ევროპით, ამერიკის შეერთებული შტატებით, იაპონიით და დამთავრებული სხვა მოწინავე ქვეყნებით. ასე რომ, რუსეთი იზოლირებულია. ის რომ მოსკოვი ამ ომს წააგებს, გასაგებია, მაგრამ ჩვენი ამოცანაა არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ, რუსეთის, როგორც ბირთვული სახელმწიფოს არსებობის დასრულება*

**- ამის განცხადების საფუძველს რა გაძლევთ, ჯერ ხომ არაფერია ცნობილი?**

- აქ სხვა ფინალი არ არსებობს. მით უმეტეს, რომ უკრაინას მხარს უჭერს მთელი ცივილიზებული სამყარო, დაწყებული ევროპით, ამერიკის შეერთებული შტატებით, იაპონიით და დამთავრებული სხვა მოწინავე ქვეყნებით. ასე რომ, რუსეთი იზოლირებულია. ის რომ მოსკოვი ამ ომს წააგებს, გასაგებია, მაგრამ ჩვენი ამოცანაა არა მხოლოდ გამარჯვება, არამედ, რუსეთის, როგორც ბირთვული სახელმწიფოს არსებობის დასრულება. ის უნდა განიარაღდეს და გაქრეს დედამიწის რუკიდან. ცხადია, ვგულისხმობ არა ერს, არამედ მის შეიარაღებას, აგრესიას და დიქტატურას. რუსეთი საფრთხეს წარმოადგენს მსოფლიოსთვის, როგორც ბირთვული იარაღის მფლობელი. აქედან გამომდინარე, მას უნდა ჩამოერთვას მსგავსი შეიარაღების უფლება. მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქავს მთელი სამყარო. სხვანაირად, ამ სახელმწიფოს ვერაფრით გავაჩუმებთ. სულ იქნება მისგან პრობლემები. მოწინავე ქვეყნების პოლიტიკური ელიტა უნდა შეიკრას და ამაზე შეთანხმდეს. მსოფლიოს ბირთვული ომის საშიშროების წინაშე აყენებენ რუსი პოლიტიკოსები და გათავხედებული სამხედრო ჩინოსნები. როდესაც იბომბება მშვიდობიანი ქალაქები, საცხოვრებელი კორპუსები, საბავშვო ბაღები, სამშობიარო სახლები, იხოცება ბავშვები, ამას სხვაგვარ შეფასებას ვერ მივცემთ. რაც უფრო გახანგრძლივდება ომი, მით უფრო მეტი შანსია, რომ ძალიან ცუდად დაასრულონ პუტინმა და მისმა დამქაშებმა არსებობა. დარწმუნებული ვარ, ბევრი დრო აღარ დარჩათ, მათი საქმეები მივიდა ჰააგის სასამართლომდე. როგორც წესი, ასე ამთავრებენ დიქტატორები საკუთარ ცხოვრებას.

**- სად არის იმის გარანტია, რომ ჩიხში მოქცეული პუტინი არ წამოიწყებს ბირთვულ ომს?**

- გასაგებია, მაგრამ თუკი ბირთვული იარაღი ამოქმედდება, მაშინ აღარაფერი გვექნება სათქმელი, დედამიწა და ცივილიზაცია განადგურდება. ფაქტია, რომ რაღაც იბადება, კვდება, იწყება, სრულდება და კაცობრიობაც არ არის გამონაკლისი. გამოდის, ჩვენ მივაღწიეთ განვითარების ზღვარს, არსებობის რაღაც ეტაპს, რომელსაც ველარ გადავაბიჯეთ და... მოკლედ, დაიწყება აპოკალიფსი. პრინციპში, თუკი ამოტრიალდება სამყარო, არც რუსეთი გადარჩება. აქედან გამომდინარე, მეეჭვება, რომ პუტინი ასეთ სიგიჟეზე, საკუთარი ერის და მსოფლიოს მკვლელობაზე წავიდეს. თუმცა, გიჟებს რას გაუგებ, იქნებ მესიად წარმოიდგინოს თავი.

**- ანუ, მაინც უნდა გვეშინოდეს ატომური ომის?**

- არა, რუსეთში მარტო პუტინი და მისი გენერალიტეტი ხომ არ არის. არც ამ ხალხს უნდა ომი და ამხელა უბედურება. მე მაინც მიმაჩნია, რომ თავად რუსები მოუვლიან საკუთარ ლიდერს და დაუმორჩილებლობას გამოუცხადებენ. მართალია, ასეთი ხალხი საკმაოდ ცოტაა რუსეთში, მაგრამ არის და დარწმუნებული ვარ, ისინი წინ აღუდგებიან ატომურ ომს, თუკი ამაზე წასვლას გადაწყვეტს პუტინი.

**- ასეთი საფრთხის მიუხედავად, დასავლეთი ცოცხალი ძალით მაინც არ ეხმარება უკრაინას.**

- ისინი ნატოს წევრები არიან და არ სურთ ოფიციალურად ჩართვით, ომი გადაზარდონ მესამე მსოფლიოში, რადგან მაშინ მართლაც გაჭირდება გაკონტროლება, თუმცა, რეალურად, ჩვენ მომსწრე ვართ მესამე მსოფლიო ომის, რომელიც უკრაინის, ბელარუსის და რუსეთის მონაწილეობით მიმდინარეობს. როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო უპირისპირდება რუსეთს, ფაქტია, რომ არაერთი ქვეყანა იბრძვის უკრაინელებთან ერთად. მართალია, ამას არ აქვს ოფიციალური სახე, მაგრამ ყველამ იცის, იქ რაც ხდება რეალურად. იგივე რუსეთსაც ეხმარება ბელარუსი და სირია. ეს ნიშნავს, რომ სხვა სახელმწიფოებიც არან ჩარეული სამხედრო კონფლიქტში. ამ ფონზე ევროპა და აშშ ღია ომს არ იწყებენ, ეს მათი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და ნიშნავს, რომ ასეთი ფორმით უკეთ შეძლებენ რუსეთის დამარცხებას, იგივე უკრაინელების ხელით. დასავლეთი ეხმარება უკრაინას საინფორმაციო საშუალებებით, მორალურად, სანქციებით და შეიარაღებით. რაც შეეხება იქ ინდივიდუალურად ჩასულ სამხედროებს, რომლებსაც არ აქვთ ოფიციალური სტატუსი, ისინი საკმაოდ დიდ საქმეს აკეთებენ. სწორედ მათი დახმარებით დგას უკრაინა ჯერ კიდევ ფეხზე.

**- ეკონომიკური კრიზისი შეეხო არა მხოლოდ რუსეთს, არამედ ევროპასაც. რამდენ ხანს გაუძლებენ ეს ქვეყნები ეკონომიკის ვარდნას?**

- ბუნებრივია, რომ შეზღუდვები იქნება, რაღაცაზე უარის თქმა აუცილებელია ისეთი მონსტრის დასამარცხებლად, როგორიც რუსეთი და მისი დამქაშებია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს ხელისუფლება ვერ იჩენს საკმარის ინიციატივას უკრაინის მხარდასაჭერად. ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მცდელობა ამ შემთხვევაში არ გამოდგება, რადგან ომში დამნაშავე რუსეთია და საქართველოს მთავრობამ უნდა დაგმოს მისი აგრესია.

**- საქართველოს მთავრობა ხომ ყველა მხრივ ეხმარება უკრაინას?**

- არა, ეს ასე არ არის. საქართველოს მთავრობის ძირითადი პოზიცია ჩანს მისი რეზოლუციებიდან, რომ საჰაერო სივრცე არ დაუკეტა აგრესორ ქვეყანას. საქართველომ არ დაუწესა სანქციები რუსეთს, ისევე, როგორც აშშ-მა და ევროპამ. აქედან ჩანს, რომ იჩენენ სიფრთხილეს რუსეთის მიმართ.

**- თქვენ ფიქრობთ, რომ სიფრთხილის გამოჩენა ჩვენთვის მიუღებელია, ასეთივე სიფრთხილეს იჩენენ სხვა ქვეყნებიც, მათ შორის, იგივე ევროპა და აშშ.**

- იმათი სიფრთხილე სხვაა, ჩვენი კი გადაჭრილია სიმხდალეში, რაც უკიდურესად ცუდ ეჭვებს აღძრავს ჩვენი ქვეყნის მისამართით. შიშით მოპოვებული თავისუფლება არავის უნახავს, თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოიპოვება. ამ ომში უკრაინა გაიმარჯვებს, თავისუფლების მოყვარული ხალხი გაიმარჯვებს და პოლიტიკური რუკა გადათამაშდება. ამ პროცესში საქართველო უნდა დარჩეს უკრაინის და მისი პარტნიორების მხარეზე, რათა არ დაკარგოს ამდენი სისხლით და ვაებით მიღწეული თავისუფლება. რაც უფრო მჭიდროდ ვიქნებით უკრაინელებთან, რაც უფრო მეტ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო სოლიდარობას გამოვიჩენთ, უკეთესი პერსპექტივები გვექნება სამომავლოდ.

**- უკრაინასთან ომის კვალდაკვალ, საქართველოსკენ წამოსვლაც აქვს განზრახული პუტინსო.**

- თუკი რუსეთი გაიმარჯვებს, ბუნებრივია, შემდეგ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ნატოს წევრ ქვეყნებსაც მიაკითხავს, ბალტიისპირეთს, პოლონეთს და სხვ. მაგრამ თუ დამარცხდა, შემდეგ რას ვშვრებით? ხედავთ, როგორ გველაპარაკება დღეს უკრაინა. მაშინ სად იქნება ჩვენი ადგილი? არ უნდა შეგვეშინდეს რუსეთის. დამტკიცდა, რომ ყოვლისშემძლე არ არის, მისი უძლეველობის მითი დაიმსხვრა უკრაინაში. დღეს უკვე ომის 23-დღეა, განადგურებულია რუსული ჯარი, მისი ტექნიკა, აღარ დარჩა ოფიცრობა, ვერც ერთი ქალაქი ვერ აიღო, ეკონომიკა ნულამდეა დასული, პარტნიორებიც შემოეფანტა, ჩინეთმაც ვერ გაბედა მისი დახმარება. დედამიწაზე აბსოლუტურად თვითკმარი სახელმწიფო არ არსებობს. რაც უნდა მდიდარი იყოს რუსეთი რესურსებითა და წიაღისეულით, 21-ე საუკუნეში გაუჭირდება საერთაშორისო ბრენდების და ფინანსური ორგანიზაციების გარეშე არსებობა. დავანებოთ თავი ნავთობს და გაზს, ინსტაგრამის გათიშვაც კი სერიოზულ კრიზისს გამოიწვევს. ჯერ კიდევ ართმევენ თავს, მაგრამ უკვე ერთ თვეში უძლიერესად დაარტყამს სანქციები ჩრდილოურ იმპერიას და მაშინ რას იზამს მოსკოვი, საინტერესოა. აქედან გამომდინარე, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ პუტინს დაამარცხებენ არა მხოლოდ უკრაინელები და ევროპა-ამერიკა, არამედ საკუთარი მოქალაქეები.

**- ოპოზიციის მიერ უცხოურ მედიაში მთავრობის კრიტიკაზე რას გვეტყვით, რამდენად მართალი არიან, ასეთ სენსიტიურ თემაზე საქვეყნოდ რომ საუბრობენ, თუნდაც დეკანოიძის განცხადება რომ გავაანალიზოთ...**

- მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ეს არის პოლიტიკური შეფასება, რომელიც დადასტურებულ ფაქტს ასახავს. დეკანოიძესაც რომ არ ეთქვა, კოლაბორაცია აშკარად სახეზეა. როდესაც რუსეთს მთელი ცივილიზებული სამყარო სანქციებს უწესებს, შენ კი რძეზე და ყველზე ელაპარაკები და მისგან სავაჭრო სარგებლის მიღებას აპირებ, ეს ნიშნავს, რომ სერიოზულ სქემებს აწყობ. ილაპარაკებს ამაზე ოპოზიცია, აბა რას იზამს. მეორეც: „არ უნდა ვამხილოთ ხელისუფლება დასავლეთთან“, არ არის სწორი მიდგომა. ჩვენ უნდა ვამხილოთ ყველა, ვინც იმსახურებს, უნდა ვთქვათ სიმართლე. თავად ოპოზიციის ძირითადი ვალდებულება სწორედ ეს არის. როდესაც ქვეყნის პარლამენტი ვერ ახერხებს აგრესორ ქვეყანას აგრესორი უწოდოს და ეს დააფიქსიროს შავით-თეთრზე, მაშინ არ უნდა გაგიკვირდეთ დეკანოიძის გამოსვლა იმის შესახებ, რომ ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტის ძირითადი აზრი გადის იმაზე - ვერ დაამარცხონ პუტინი.

**- თქვენ ახლა იმასაც დამიმტკიცებთ, რომ სააკაშვილი უნდა გათავისუფლდეს ციხიდან, რათა გაეშუროს ზელენსკის დასახმარებლად...**

- სალომე ზურაბიშვილი კატასტროფულ შეცდომას უშვებს, რომ არ ათავისუფლებს მას. შესაძლოა, ბევრი არ დამეთანხმოს, იგივე ოპოზიციური პარტიები, მაგრამ მე მაინც ვიტყვი სიმართლეს: სააკაშვილის ციხიდან გამოშვების გარეშე, ვერავითარ ეროვნულ შერიგებაზე ლაპარაკი ვერ იქნება. სააკაშვილს რომ ჰყავდეს მურმან დუმბაძესავით 100 მხარდამჭერი, ეგ არაფერი, მიშას მხარდამჭერი კი, ოფიციალური მონაცემებით არის ქვეყნის ამომრჩევლის ერთი მესამედი, რაც ნიშნავს, რომ ყოველი მესამე ამომრჩეველი საქართველოში სააკაშვილს უჭერს მხარს. ბუნებრივია, ვერავითარ მორიგებასა და დაწყნარებაზე ვერ იქნება ლაპარაკი. ამიტომ ვამბობ, რომ ზურაბიშვილმა ხელიდან გაუშვა შანსი, თავი დაემკვიდრებინა საქართველოს ისტორიაში, როგორც ბრძენ, მართალ პრეზიდენტს. არა უშავს, არც ივანიშვილი და არც ზურაბიშვილი, მალე აღარ იქნებიან ხელისუფლებაში, რადგან მსოფლიო იცვლება, მაგრამ მე გაძლევთ გარანტიას, რომ მიხეილ სააკაშვილი დარჩება არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში.

**- შემოსულ რუს მოქალაქეებზე რას გვეტყვით?**

- აქ არაორდინარული ვითარებაა და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ამ ეტაპზე ვერ დავუშვებთ მათთვის საზღვრების დაკეტვას, მაგრამ როდესაც ომი დასრულდება, ყველა მხრივ უნდა ვეცადოთ, რომ ან სამშობლოში დავაბრუნოთ ან გავუშვათ იმ ქვეყნებში, სადაც მოისურვებენ. მგონი, ისინი აქ დიდხანს მაინც არ დარჩებიან, თავიანთი ფული და ბიზნესები აქვთ გადასარჩენი. ვინც აქ დარჩება, ისინი უნდა გადავამოწმოთ ყველა მხრივ, რასაც აკეთებენ კიდეც სათანადო ორგანოები და ისე დავტოვოთ. მოგეხსენებათ, ქართველი ვერასოდეს ამბობდა უარს ვერც სტუმარზე და ვერ ხიზანზე.

**- მაინც რამდენ ხანს გასტანს საომარი მოქმედებები?**

- ექსპერტების აზრით, დიდ ხანს არ გაგრძელდება, უკვე მეოთხე მოლაპაარკება ჩატარდა, მალე იგეგმება პუტინის და ზელენსკის შეხვედრა. პუტინი იმიტომ დათანხმდა ამ შეხვედრას, რომ მიხვდა, საკუთარი არმია ველარ გაძლებს მეტს, რომ მისი ძლევამოსილება დასრულებულია და უნდა სახე მაინც შეინარჩუნოს, რასაც ცხადია, ვერ შეძლებს. მთავარია, უკრაინამ არ დაუშვას მცირედი შეცდომაც კი ნეიტრალიტეტის საკითხში, არ უნდა დათმოს არც ერთი ტერიტორია. მეტი სისხლი დაიღვრება, მაგრამ რას ვიზამთ, თავისუფლება უსისხლოდ არ მოდის.

ქართული ჟურნალისტიკის დღე

# ოთარ ფუტკარაძე – 30 წელი – მედიაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*70 წელი უკან მოიტოვა ვეტერანმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა* ***ოთარ ფუტკარაძემ.*** *იგი წლების განმავლობაში აჭარის ტელე-რადიოდეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყო. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგაც, შემოქმედებითი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია. ორი წიგნი მიუძღვნა მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში მოსახლე ჩვენებურების ცხოვრებას, შრომას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას... დღეს იგი ჩვენი სტუმარია.*

**- ბატონო ოთარ, ქვეყანას აჭარიდან მრავალი ღირსეული ჟურნალისტი ახსოვს. მრავალწლიანი მუშაობით მათ რიგებში საპატიო ადგილი დაიმკვიდრეთ. რა ფაქტორებმა განაპირობა, რომ მედიცინის მუშაკმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ჩააბარეთ?**

- უწინარესად, ქართული ჟურნალისტიკის დღე მინდა მივულოცო კოლეგებს, მათი ტრადიციების სახელოვნად გაგრძელება, ახალი შინაარსით გამდიდრება, სიმართლის წერა, პირუთვნელობა, პირდაპირობა ვუსურვო. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, მედიცინა მშობლების არჩევანი იყო და „ხათრი ვერ გავუტეხე“. ჟურნალისტიკისადმი ინტერესი მოგვიანებით გამიჩნდა და ეს რაიონულ, საოლქო თუ რესპუბლიკურ გაზეთებთან ურთიერთობაში გამოიხატა. ასე რომ, 1973 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებას გამოქვეყნებული მასალებით, საკმაოდ დახუნძლული მივადექი. მაშინ უამისოდ და ჟურნალისტთა კავშირის რეკომენდაციის გარეშე საბუთებსაც არ იღებდნენ. არამარტო ბევრი კითხვა, წერაც თავიდანვე მიტაცებდა.

**- იმ დროს ფრიად საყურადღებო იყო თქვენი პირველი წიგნი „გაზეთი „დროება“ აჭარის შესახებ.“ ვინ იდგა ამ საქმის სათავესთან?**

- მინდა უღრმესი მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი პროფესორი, ქალბატონი დალი ჩიკვილაძე. სპეცსემინარები გვქონდა ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. დაგვისახელა თემები დასამუშავებლად. „გაზეთი „დროება“ აჭარის შესახებ“ ჩემი არჩევანი იყო, რაზეც სიამოვნებით დამთანხმდა და მეთოდური დახმარებაც გამიწია. ეს გაზეთი იმ დროს გამოდიოდა (1866-1885 წწ), როდესაც დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნების ბედი წყდებოდა. შემდეგ სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობისთვის (თბილისში ჩატარდა) დიპლომით დამაჯილდოვეს. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ გადაწყვიტა, წიგნად გამოცემულიყო და შესაბამისი რეკომენდაცია გამიწია.

**- შუახევის რაიონში, ემენ დავითაძის შემდეგ, მეორე პროფესიონალი ჟურნალისტი ხართ. თქვენს შემოქმედებაში თანარაიონელებს რა ადგილი უკავიათ?**

- მოკლედ ვიტყვი: შუახევის რაიონში არ დარჩენილა სოფელი, იალაღებიც კი, ფეხი რომ არ დამედგას. ცხადია, ჩემს რადიო და ტელეგადაცემებში თუ საგაზეთო-საჟურნალო პუბლიკაციებში თანარაიონელთა საქმიანობას, მათ მიღწევებს, მოწინავე ადამიანებს, პრობლემებს დიდი ადგილი ეთმობოდა. ის კი არა, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მათი განსახლება-დამკვიდრების საკითხებსაც საკმაოდ ფართოდ ვაშუქებდი. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ამ თემაზე წერა პირველმა დავიწყე.



**- საქართველო-თურქეთის საზღვრის გახსნის შემდეგ პირველი იყავით, მეზობელ ქვეყანაში მცხოვრები ჩვენებურების ფოლკლორი რომ შეკრიბეთ და წიგნად გამოეცით. მას კიდევ რა წიგნები დაუმატეთ და მათი ლაიტმოტივი რა არის?**

- თურქეთელი ქართველების ფოლკლორის შეკრებაზე ბატონმა აზიზ ახვლედიანმა წამაქეზა. მაშინ იგი გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი იყო და საგამომცემლო გეგმაშიც მის დროს შეიტანეს. შარშან გამოვეცი საკმაოდ სქელტანიანი წიგნი „შორეული ახლობლები - მოთხრობები თურქეთის საქართველოსა და ქართველებზე“. როგორც სათაურიც მიგვანიშნებს, იგი საზღვრის მიღმა დარჩენილ ძველქართულ მიწებზე, მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველებზე მოგვითხრობს.

**– უზომოდ ხართ შეყვარებული ტაო-კლარჯეთზე. ჟურნალისტიკას ტურისტული მომსახურებაც შეუხამეთ და თქვენი მეშვეობით ბევრი ადამიანი გაეცნო საქართველოს ისტორიული რეგიონის წარსულსა და დღევანდელობას... რა შეხედულება გრჩებათ იქ არსებულ ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე?**

- ტაო-კლარჯეთის მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობა ასახულია ჩემი და ჩემი მეგობრების ზურაბ ქავთარაძისა და ვაჟა დავითაძის მიერ 2008 წელს გადაღებულ ვრცელ დოკუმენტურ ფილმში „ტაო-კლარჯეთი.“ სასიხარულოა, რომ მეზობელი სახელმწიფოს ხელისუფლება ამ და სხვა ისტორიულ ძეგლებს ჯეროვან ყურადღებას უთმობს. ბევრ ციხე-სიმაგრესა და თაღოვან ხიდს ჩაუტარდა საფუძვლიანი რესტავრაცია. მოიცალეს ეკლესიებისთვისაც - ძველი დიდება დაუბრუნდა იშხანს და პარხალს. ახლა ხარაჩოებში ოშკის გრანდიოზული კათედრალია, ტბეთს კი არქეოლოგები იკვლევენ. სამწუხაროდ, მეტად სავალალო მდგომარეობაშია ხანძთის, შატბერდის, დოლისყანისა და ოთხთას მონასტრები. იმედი მაქვს, მშველელი მათაც გამოუჩნდება.

**- ქვეყნისა და უცხოეთის სახელოვან ადამიანებთან გქონდათ ურთიერთობები. რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებთ?**

- ერთს გავიხსენებ. თურქეთში, ქალაქ ფაცაში, ჩვენებურების ფესტივალზე ვიყავით მიწვეული. მე და ბატონი ფრიდონ ხალვაში სასტუმროს ერთ ნომერში დაგვაბინავეს. გამომგზავრების წინა დღეს იქაურმა ქართველებმა სასტუმროს ეზოში ბანკეტი გამართეს. ბატონი ფრიდონი მასპინძლებს ფაცასადმი მიძღვნილი ლექსით მიესალმა, რასაც მქუხარე ოვაციები მოჰყვა. წამოვდექი და მაგ ლექსის დაწერაში ბატონ ფრიდონს მეც ვეხმარებოდი და ეგ ტაში მეც მეკუთვნის-მეთქი, „მორცხვად“ განვაცხადე. - ჭო, შენ რაში მეხმარებოდი? - გაკვირვებულმა ამომხედა ბატონმა ფრიდონმა. - რაში და ადრე დილით, თვალი რომ გავახილე, ბლოკნოტი გედოთ მუხლზე და რაღაცას წერდით. მივხვდი, რომ მუზა გესტუმრათ და ლოგინში არ გავფაჩუნებულვარ, მუზა რომ არ დამეფრთხო. განა, ეს დახმარება არ არის? - შევუბრუნე კითხვა. ასე რომ, ტაში მეც დავიმსახურე.

**- რადიოგადაცემა ან ბეჭდური პუბლიკაცია, რომელიც მეხსიერებიდან არ ამოდის...**

- მათგან გამოვარჩევ რადიო და სატელევიზიო გადაცემებს „ჯავახეთს შეკრიბა ლაშქარი,“ რომელიც ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქის რაიონის ქართული სოფლები - ჩუნჩხას, პტენას, ოკამის, აფნიას, გოგაშენის, აზმანას, კოთელიას აღორძინებაზე მოგვითხრობს და კიდევ ვრცელი ნარკვევი „ათასი კილომეტრი ტაო-კლარჯეთში ფრიდონ ხალვაშთან ერთად,“ რომელიც პოეტისადმი მიძღვნილ კრებულშია შეტანილი. დიდი გამოხმაურება მოჰყვა სამეცნიერო ნარკვევს „სად მდებარეობს მთა, სადაც ანდრია პირველწოდებულმა რკინის ჯვარი აღმართა.“ ცხადია, ნარკვევში ამ საკითხთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრებებია წარმოდგენილი...

*„მედიაში ბევრი უდავოდ ნიჭიერი ჟურნალისტი საქმიანობს, მაგრამ ისეთებიც მრავლად არიან, საზოგადოებას ცრუ ინფორმაციებს რომ აწვდიან, სენსაციებს ჩასაფრებულები ცდილობენ თავიანთი „ნიჭიერების, ყველაფრისმცოდნეობის“ წარმოჩენას. უგულებელყოფილია ქართული ენის ნორმები. ასე მგონია, ორთოგრაფიულ და განმარტებით ლექსიკონებში საერთოდ არ იხედებიან. იგრძნობა ჟანრობრივი სიღარიბეც...*

**- იმ დროს მიხვედით რადიოში, როცა კომიტეტს სათავეში ამირან ვადაჭკორია ედგა. ამ პიროვნებამ რა მოსაგონარი დაგიტოვათ?**

- ბატონ ამირანს ყოველთვის მადლიერებით ვიხსენებ. რადიოში რომ დავიწყე საქმიანობა, ეს სწორედ მისი დამსახურებაა. საოლქო კომიტეტი შუახევში მუშაობას მაძალებდა. ბატონმა ამირანმა ზემდგომების წინააღმდეგობა დაძლია და ასე აღმოვჩნდი რადიოში. სიბეჯითე ჯერ დაწინაურებით დამიფასა, მერე ბინის მიღებაშიც დამეხმარა. ასეთი ყურადღებიანი იყო სხვების მიმართაც.

**- თანამედროვე ჟურნალისტიკაზე რა შეხედულება გაქვთ?**

- მედიაში ბევრი უდავოდ ნიჭიერი ჟურნალისტი საქმიანობს, მაგრამ ისეთებიც მრავლად არიან, საზოგადოებას ცრუ ინფორმაციებს რომ აწვდიან, სენსაციებს ჩასაფრებულები ცდილობენ თავიანთი „ნიჭიერების, ყველაფრისმცოდნეობის“ წარმოჩენას. უგულებელყოფილია ქართული ენის ნორმები. ასე მგონია, ორთოგრაფიულ და განმარტებით ლექსიკონებში საერთოდ არ იხედებიან. იგრძნობა ჟანრობრივი სიღარიბეც...

**- დამწყებ ჟურნალისტებს რას ურჩევთ?**

- ერთ-ერთი სასწავლებლის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტებთან შეხვედრაზე მიმიწვიეს. მკითხეს, სიტყვის თავისუფლებაზე რა აზრის ხარო. ვიდრე ენა სიტყვას წარმოთქვამდეს, წინ 32 კბილია ჩარიგებული და უნდა გაფილტროს. თუ კბილებს რამე გამოეპარა, წინ კიდევ ერთი ბარიერია - ტუჩები, ასე რომ, სანამ რამეს იტყოდეთ, მით უფრო, დაწერდეთ, კარგად უნდა დაფიქრდეთ. ყველაფერი არც ითქმება და არც იჭმევა. ყველა ადამიანს, მით უფრო, ჟურნალისტს, შინაგანი ცენზურა უნდა ახასიათებდეს - ესაა ჩემი პასუხი. დამწყებ ჟურნალისტებსაც ამას ვურჩევ. და კიდევ, რაც შეიძლება ბევრი იკითხონ, პუბლიკაციის მომზადებამდე საგულდაგულოდ შეისწავლონ გარემო, არ გამოედევნონ სენსაციებს, გაუფრთხილდნენ მშობლიურ ენას, ერისა და ქვეყნის ისტორიას და ასე შემდეგ.

**- ერთხანს უმაღლეს სასწავლებლებში ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხებზე ლექციების კურსი მიგყავდათ. რა მიზეზით შეაქციეთ ზურგი სამეცნიერო საქმიანობას?**

- იმის მიუხედავად, რომ სადისერტაციო თემა თითქმის მზად მქონდა, რატომღაც ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებაზე არ ვიფიქრე. ეს მაშინ ვინანე, როდესაც ხარისხის მქონე (თუმცა არა ჟურნალისტიკის განხრით) პროფესორებმა შემავიწროვეს, სალექციო საგნები შემიზღუდეს და იძულებული გავხდი, უნივერსიტეტიდან წამოვსულიყავი. სხვა სასწავლებლებშიც ჟურნალისტიკის განყოფილებები გაუქმდა. ეს იყო მიზეზი, რომ ამ საქმეს ჩამოვშორდი. ისე, ბათუმში ყველგან, სადაც ჟურნალისტიკა ისწავლებოდა, ფაკულტეტები ლექტორ-მასწავლებლებით და საგნებით მე დავაკომპლექტე.

**- მშრომელ, ალალმართალ ოჯახში გაიზარდეთ. დედა - ზულეიხა ფუტკარაძე საქვეყნოდ ცნობილი ქალბატონი იყო. მან საუკუნე უკან მოიტოვა და წუთისოფლიდან ვალმოხდილი წავიდა. მშობლების როლი - თქვენს ცხოვრებაში...**

- როგორც ვთქვი, მედიცინა მათი რჩევით ავირჩიე. ამ დარგში სამწლიანი საქმიანობის შემდეგ, უნივერსიტეტში რომ ჩავირიცხე, ცხადია, დედ-მამა არც იქ მაკლებდნენ ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ერთი სტუდენტი უკვე ჰყავდათ სარჩენი - ჩემი ძმა ნუგზარი, რომელიც ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში სწავლობდა. შემდგომში მესამეც დაემატა - ჩემი მეუღლე, რომელიც ბათუმში, სამედიცინო სასწავლებელში ჩაირიცხა. შვილი რომ შეგვეძინა, ბებიაჩემი ბავშვის მოვლაში წამომეშველა, სწავლაში ხელი არ შეეშალოსო. ხშირად მიხუმრია კიდეც - ჩემი მშობლები ხუთ სტუდენტს უვლიან-მეთქი.

**- თავად როგორი მეუღლე, მამა და ბაბუა ხართ?**

- ცხადია, შვილებისთვის ხელი არც მე მიმიკლია. ექვსი შვილიშვილი მყავს. მათ ბაბუა ძალიან უყვართ. ვგონებ, ამით ყველაფერია ნათქვამი. თუ როგორი მეუღლე ვარ, ეს ჩემს მეუღლეს უნდა ჰკითხოთ. ორივე თანასწორები ვართ, ტერმინი პირველი და მეორე ნახევარი საერთოდ ამოსაღებია სასაუბრო ლექსიკონიდან... არ მომწონს.

**- ყველაზე რთული გამოცდა, რომელიც ცხოვრებამ ჩაგიტარათ?**

- 2008 წელს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმდევრებმა საყვარელ საქმეს უსაფუძვლოდ ჩამომაშორეს. გახსოვთ, ალბათ, 45 წელს ზემოთ ადამიანებს სამსახურებში აღარ აჩერებდნენ. ფარ-ხმალი არ დამიყრია - მოგზაურობა ისეც მიყვარდა და ტურისტული მომსახურება წამოვიწყე. თანაქალაქელებს და სხვებს ვაცნობ საქართველოს და მეზობელი თურქეთის ღირსშესანიშნაობებს, ისტორიას. ამით მეც ბევრი რამ ვნახე და შევისწავლე.

**- მიზანი ყოველთვის ამართლებს?**

- რა თქმა უნდა, თუ მის მისაღწევად დაუზარელად მიილტვი.

**- მიუღწეველ მიზნად რა გრჩებათ?**

- ასპირანტურაში სწავლის გაგრძელებისა და დისერტაციის დაცვისთვის რომ არ ვიზრუნე. ჟურნალისტიკა 19-მა დავამთავრეთ. მეამაყება, მათგან ხუთი უკვე პროფესორია. არადა, შანსი მქონდა და არ გამოვიყენე. ვფიქრობ, ამაში თავისი როლი ჩემმა სიზარმაცემაც ითამაშა.

**- ამჟამად რა წიგნზე მუშაობთ?**

- ჩემი ჟურნალისტად მუშაობის 30 წლის განმავლობაში რადიოში, ტელევიზიასა და ჟურნალ-გაზეთებში უამრავი ნარკვევი მაქვს გამოქვეყნებული. მათგან საუკეთესოები შევარჩიე და ერთ წიგნად მინდა ავკინძო. ამას გარდა, მაქვს მინიატურები, სამეცნიერო სტატიები...

**- 70 წელი უკან მოიტოვეთ, ფუტკარაძეთა საგვარეულო გამორჩეულად მოგეფერათ?**

- მართალი გითხრათ, 70 წლის იუბილე არ გადამიხდია. ამაში ბრალი, გარკვეულწილად, ეპიდვითარებასაც მიუძღვის. უამრავი ადამიანი მომეფერა ფეისბუქის

იხ. მე-7 გვ.



## სატელეფონო საუბარი შედგა...

CNN ჩინურ მედიაზე დაყრდნობით წერს, რომ ჩინეთის პრეზიდენტ სი ძინ პინსა და აშშ-ს პრეზიდენტ ჯო ბაიდენს შორის 2-საათიანი სატელეფონო საუბარი შედგა. ორი ქვეყნის ლიდერებმა ევროპასა და მსოფლიოში უსაფრთხოების საკითხი განიხილეს. ჩინეთის ხელმძღვანელმა ამერიკელ კოლეგას უთხრა, რომ ურთიერთობების დაპირისპირება „არავის ინტერესებში არ შედის“.

„ქვეყნებს შორის ურთიერთობა არ შეიძლება სამხედრო დაპირისპირებაში გადავიდეს. კონფლიქტი და დაპირისპირება არავის აინტერესებს. მშვიდობა და უსაფრთხოება საერთაშორისო საზოგადოების ყველაზე ძვირფასი საგანძურია“, - თქვა სიმ. „როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და მსოფლიოს ორი უმსხვილესი ეკონომიკის წარმომადგენლები, ჩვენ არა მხოლოდ უნდა წარვმართოთ ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების განვითარება სწორ გზაზე, არამედ შევასრულოთ ჩვენი საერთაშორისო ვალდებულებები და ვიმუშაოთ მსოფლიო მშვიდობისთვის“, - აღნიშნა სი ძინ პინმა.

თეთრ სახლს რაიმე ინფორმაცია ამ საუბრის შესახებ ჯერ არ გაუვრცელებია.

ამირან გურიელიძე

## პოლონეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი - საქართველოში

მე-2 გვერდიდან

პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ღირებულებებზე ისაუბრა პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მათეუშ მორავიეცკიმ და საქართველოს პრემიერ-მინისტრს ძეგლის გახსნისა და პრეზიდენტ კაჩინსკის ხსოვნის პატივისცემისთვის მადლობა გადაუხადა.

„დიდი მადლობა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ამ ძეგლის აქ გახსნის შესაძლებლობისთვის. ქართულ-პოლონური მეგობრობა არის ძლიერი, რუსეთის აგრესიის გამო დღეს არსებული ეგზისტენციალური საფრთხეების მიუხედავად. დიდი მადლობა ყველას. ის გაკვეთილები, ის გაფრთხილება, რომელიც ჩვენ, თაობებს დაგვიტოვა ლეხ კაჩინსკიმ და მისი რწმენა იმ ურთიერთობისა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ერებს ერთმანეთთან, უნდა გვახსოვდეს და ეს სიტყვები გვიჩვენებდნენ სწორ გზას საქართველოსა და პოლონეთის ურთიერთობებში. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნების ურთიერთმხარდაჭერამ შესაძლოა ძალიან დიდი როლი ითამაშოს ევროპაში“, - აღნიშნა მათეუშ მორავიეცკიმ.

დამსწრეთ სიტყვით მიმართა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა კაჩინსკიმ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველო-პოლონეთის ურთიერთობების გაღრმავებაში.

„ქართველ ხალხს ახსოვს და ყოველთვის ემახსოვრება პრეზიდენტ კაჩინსკის განსაკუთრებული სიმამაცე და ვაჟკაცობა ჩვენი ქვეყნისთვის მძიმე წუთებში. ჩვენ, ყველა ერთად, კიდევ ერთხელ მივაგებთ პატივს ამ მართლაც გამორჩეულ ევროპელ ლიდერს“, - თქვა თორნიკე რიჟვაძემ სიტყვით გამოსვლისას.

ძეგლის გახსნის ცერემონიაზე შესრულდა საქართველოსა და პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნები, სახელმწიფო მდივანმა მინისტრის რანგში, პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციიდან მიხალ დვორჩიკმა წაიკითხა პოლონეთის ვიცე-პრემიერის, პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ძმის - იაროსლავ კაჩინსკის მიმართვა, რომელმაც მადლობა გადაუხადა ძეგლის გახსნის ინიციატორებს. „ჩემი ძმის ძეგლის გახსნა არის იმის მაგალითი და დასტური, რომ ჩვენი კავშირი, ჩვენი მეგობრობა უფრო მყარი და მჭიდრო ხდება“, - აღნიშნა მიმართვაში იაროსლავ კაჩინსკიმ.

ახალ ბულვარში, მარია და ლეხ კაჩინსკების პროსპექტზე, ძეგლის დადგმის იდეის ერთ-ერთი ინიციატორი პოლონელ და ქართველ კოლეგებთან ერთად, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძეა. ძეგლის ავტორები არიან არქიტექტორი, საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წევრი - ოლეგ პატარიძე და მოქანდაკე, საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი - თეიმურაზ მახარაძე.

### ქვემო სილეზიის დელეგაციას უმასპინძლეს

პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მათეუშ მორავიეცკის საქართველოში ერთდღიანი სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის შემადგენლობაში მყოფ ქვემო სილეზიის სავოევოდოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებს აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებმა - დავით გაბაიძემ და თორნიკე რიჟვაძემ, ბათუმის მერმა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა უმასპინძლეს.

„დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენი მეგობარი ქვეყნის პოლონეთის პრეზიდენტის - ლეხ კაჩინსკის ძეგლი გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ მას მინიჭებული აქვს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება. სწორედ მან გააცნო ხელახლა ჩვენი ქვეყანა პოლონელ ხალხს და მთელ მსოფლიოს. იმედი მაქვს, სამომავლოდ, კვლავ დავგეგმავთ და განვახორციელებთ ერთობლივ ღონისძიებებს, რომელიც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანასა და მათ რეგიონებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას. მზად ვართ, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ამ საქმეში“,- განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძემ პოლონელ სტუმრებთან შეხვედრაზე.

მხარეებმა, მსოფლიოში არსებული მდგომარეობის ფონზე, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების აუცილებლობაზე ისაუბრეს და აღნიშნეს, რომ ჩვენს ქვეყნებს შეუქცევადი მეგობრობა, პარტნიორული, სტრატეგიული თანამშრომლობა და მჭიდრო ურთიერთობები აკავშირებს.

დელეგაციის წევრებმა პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის ხსოვნის უკვდავყოფისათვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ხელისუფლებას.

ელენე საყვარელიძე

მოლოცვა

### გაზეთ „აჭარას“

ბეჭდურ მედიის გამორჩეულ, ყველაზე ობიექტურ წარმომადგენელს, ჩემი საყვარელი გაზეთ „აჭარისა“ და „ადჟარიას“ მთელ რედაქციას ვულოცავ დაარსებიდან 101 წლისთავს. მისი გუნდის ყოველ წევრს ვუსურვებ პროფესიულ წარმატებებს, გაზეთს კი კიდევ არაერთი საუკუნე გაეგრძელებინოს ჩვენი კუთხის მემატიანის საპატიო მისია!

ერთგული მკითხველი
თენგიზ გოგიტიძე

## აკაკი ბერიძე: მგონია, რომ რუსეთის აგრესია იქნება საბჭოთა კავშირის ნანგრევების - რუსეთის ფედერაციის ჩამოშლის დასაბამი

მე-3 გვერდიდან

**- თუ ჰააგის სასამართლომ საბოლოოდ დაადასტურა რუსეთის სახელმწიფოს დანაშაული ცხინვალის რეგიონში, ეს რა დივიდენდებს მისცემს ქართულ სახელმწიფოს?**

- ბევრი დივიდენდის მიღების შესაძლებლობაა. ეს დაკავშირებულია საერთაშორისო სამართალში რეპარაციის ანუ ზიანის ანაზღაურებისა და პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნების ინსტიტუტთან. მაგალითად, ადამიანს, რომელსაც სახლი გადაუწვეს და გამოაძევეს სამხედრო დამნაშავეებმა მშობლიური კერიდან, გარდა იმისა, რომ დადგინდება სამხედრო დანაშაული მის მიმართ, სასამართლო ომის დროს დაზარალებულთა ფონდიდან აუნაზღაურებს ზარალს, ასევე, სახელმწიფოსაც, რომლის წარმომადგენელმა ჩაიდინა დანაშაული, არაპირდაპირ შეექმნება ვალდებულება ზიანის ანაზღაურებისა დაზარალებულის მიმართ. თუმცა ჩემთვის მთავარი დივიდენდი კონფლიქტური ტერიტორიების სტატუსია, ანუ ტერმინი - ოკუპაცია ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ყველა იურიდიულ დოკუმენტში, მათ შორის სასამართლოს განაჩენში და დაკავების ორდერში.

**- უკრაინამ, პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმაც ჰააგაში საარჩელი შეიტანეს რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში სამხედრო დანაშაულის გამო...**

- უკრაინამ, როგორც ვიცი, ორი მიმართულებით განახორციელა რუსეთის მიმართ დავა. მსგავსად საქართველოსი, მიმართა ყველა საერთაშორისო სასამართლოს. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში დავა მიმდინარეობს გენოციდის კონვენციიდან გამომდინარე დარღვევებზე - უკრაინელი ხალხის მიმართ ჩადენილ ეთნიკურ და ეროვნულ დისკრიმინაციაზე, ხოლო სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში არის კოლექტიური სარჩელი შეტანილი როგორც აგრესიის დანაშაულზე, ასევე ომის, კაცობრიობის დანაშაულებზე. საინტერესოა უნივერსალური იურისდიქციის ფარგლებში გერმანიის ფედერალური პროკურორის განცხადება ომის დანაშაულების გამოძიების შესახებ უკრაინის ტერიტორიაზე, ანუ ამ შემთხვევაში ეროვნული იურისდიქცია, ესე იგი ეროვნული პროკურატურის ორგანოები იწყებენ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიებას.

**- ბევრი დასავლელი ანალიტიკოსი, პოლიტიკოსი (მაგალითად, მეთიუ ბრაიზა) აცხადებს, 2008 წელს დასავლეთი უფრო კრიტიკული რომ ყოფილიყო რუსეთის მიმართ, არც ყირიმის ანექსია მოხდებოდა და არც უკრაინის ტრაგედიის მომსწრენი გავხდებოდით, რას ფიქრობთ?**

- ნატოს გაფართოება მის საზღვრებამდე რუსეთისთვის მომაკვდინებელია - ეს იქნება საქართველოში თუ უკრაინაში, მაგრამ უკრაინასთან მიმართებაში ნატოს გაფართოება უფრო მტკივნეულად წარიმართა - მთელი ევროპის უსაფრთხოება დააყენა რუსეთის ფედერაციამ საფრთხის ქვეშ და ამიტომაც არის უფრო მეტი ჩართულობა ევროპის ქვეყნების მხრიდან. ამ ომის წინაპირობა არის გეოპოლიტიკური მიზნები - ნატოს გაფართოება, გავლენის სფეროები და ბუფერული ზონები. აღნიშნულზე აკეთებს რუსეთის მმართველი ელიტა აქცენტს, ბოლო წლებია გზავნილები ისმოდა - თუ მსოფლიო უკან არ დაიხევს და უარს არ იტყვის ნატოს გაფართოებაზე, რუსეთს ექნება შესაბამისი რეაგირება. იგივე პროცესი მიდის ჩვენთან მიმართებაშიც, საქართველოში იგივე სცენარი განხორციელდება. რუსეთის ეკონომიკურ მიზნებშია უკრაინის ეკონომიკის კრიზისი. ნებისმიერი ომი იწვევს შიდასამრეწველო ინდუსტრიის მოშლას და უკრაინაშიც ეს მოხდება, თუ დასავლეთი არ დაეხმარა ფინანსურად.

**- დაბოლოს, როგორ გესახებათ დასავლეთ-რუსეთის სამომავლო ურთიერთობები, მოსალოდნელია თუ არა მათ შორის მსოფლიოს ხელახალი გადანაწილება საქართველოს და უკრაინის ინტერესების საზიანოდ?**

- ჩემი აზრით, რუსეთის და კონკრეტულად, პუტინის სახე მთელმა მსოფლიომ ძალიან ცხადად დაინახა და ამავე დროს აღიქვა საშიშროება. ამდენად, არ მოხდება ინტერესების გაცვლა. უკრაინელმა ხალხმა მსოფლიოს აჩვენა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის ფსიქოლოგია. ბევრი კურსელი მყავდა უკრაინელი, პირადი კონტაქტები მაქვს მათთან და არცერთს არ დაუტოვებია უკრაინა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპაში შეუძლიათ კარიერის აწყობა. უკრაინელი ხალხი კიდევ ერთხელ შედგა, როგორც ევროპაში თავისუფლებისა და ღირებულებების დამცავი ერთობა. დასავლეთს აქვს ბევრი ნაკლოვანება პოლიტიკაში, თუმცა გააჩნია ერთი უპირატესობა - ის ყოველთვის უჭერს მხარს თავისუფლებისთვის მებრძოლ ერებს. არის მეორე ფაქტორიც - ზელენსკის დემოკრატიულად არჩეულ რეჟიმს აშშ და ევროპა ბოლომდე დაიცავენ და მის ცვლილებას არ დაუშვებენ, რადგან ეს ერთი სახელმწიფოს რეჟიმის ცვლილება არ იქნება, არამედ დასავლეთის უთავმოყვარეობისა და დემოკრატიის არამდგრადობის მიმანიშნებელი იქნება. ჩემი პროგნოზი მაინც იხრება უკრაინის სასარგებლოდ. მგონია, რომ რუსეთის აგრესია უკრაინაში საბჭოთა კავშირის ნანგრევების - რუსეთის ფედერაციის ჩამოშლის დასაბამი გახდება.

## ოთარ ფუტკარაძე - 30 წელი - მედიაში

მე-6 გვერდიდან

თუ ტელეფონის მეშვეობით. გულწრფელ მადლობას ვუხდი მათ, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტელ პროფესორთა თხუთმეტკაციან საძმოს, რომლის ერთადერთი არაპროფესორი წევრი მხოლოდ მე ვარ. მეგობრები რესტორანში, საკმაოდ ხვავრიელ სუფრასთან მომეფერნენ.

**- გვარის ღირსეული წარმომადგენლები ინეგოლშიც გყავთ...**

- საზღვარი რომ გაიხსნა, მათ პირველად მაშინ ვეწვიე. ურთიერთობის პირველი დღეები ავსახე საკმაოდ ვრცელ ნარკვევში, რომელიც 1991 წელს თბილისში, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ გამოქვეყნდა. შემდეგშიც ბევრჯერ ვეწვიე. ისინიც მოვიპატიჟე მშობლიურ მემლექეთში. ახლაც ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ერთმანეთს ვეხმიანებით და აზრებსაც ვუზიარებთ. მახარებს, რომ გულით ქართველობენ და ცდილობენ, მშობლიურ ფესვებს არ მოსწყდნენ.

**- ქართული ჟურნალისტიკის დღეს ვინ გილოცავთ და ვის ულოცავთ?**

- უწინარესად, ყოფილი თანამშრომლები, უნივერსიტეტელი ჯგუფელები მილოცავენ და კიდევ ისინი, ვისაც ვახსოვარ და არ მივიწყებენ. ცხადია, პირველ რიგში, მეც მათ ვულოცავ ქართული ჟურნალისტიკის დღეს, აგრეთვე ყველა კოლეგას - ნაცნობსა თუ უცნობს. წარმატებები ჰქონოდეთ გზად და ხიდად... მაქვს პატივი და გაზეთ „აჭარის“ ჟურნალისტებსაც გილოცავთ პროფესიულ დღესასწაულს. მიხარია, საუკუნოვან გაზეთს რომ ასულდგმულებთ. თქვენს პროფესიონალიზმსა და მინდობილი საქმისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებას მიეწერება, რომ ეს გამოცემა შეინარჩუნეთ. ვეტერან ჟურნალისტს ისიც კარგად მახსოვს, როგორ იმუქრებოდნენ „ვარდების რევოლუციის“ მიმდევრები მისი დახურვით. საღმა აზრმა გაიმარჯვა, გაზეთმა დროს გაუძლო. მიგულეთ თქვენ გვერდით.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 18/03/22, 20[55] სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# სამი წიგნის ავტორი – მრავლის მომსწრე და მნახველი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*21 დეკემბერს შუახევის რაიონის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად დაფუძნებიდან 70 წელი სრულდება. წუთისოფელში ერთეულები არიან, რომელთაც ეს თარიღი ახსოვთ. იმ დღიდან მოყოლებული, მათ მთელი შეგნებული ცხოვრება ხალხის, ქვეყნის, მშობლიური რაიონის კეთილდღეობას, მის ეკონომიკურ და კულტურულ აღმასვლას მოახმარეს. მათ რიგებშია შორეულ ნაღვარევში მცხოვრები მეხორუმე, პოეტი, თაობების ღირსეული აღმზრდელი იოსებ ქათამაძე*



იოსებ ქათამაძე (მარჯვნიდან - მეორე)

- მეექვსე კლასის მოსწავლეს, კარგად მახსოვს, ძელსკამზე ჩამომსხდარი ჩვენი სოფლის უხუცესები ისმაილ ხილაძეს კითხვებს რომ უსვამდნენ: როგორი იქნება ახლად დაფუძნებული შუახევის რაიონის მომავალი? რა სარგებელს მოუტანს იგი შორეულ სოფლებს? 1952 წელს ნაღვარევში საავტომობილო გზა არ იყო. ამ სიკეთეს სოფელი 1961 წლიდან ეღირსა. ორი დღე სჭირდებოდა ნაღვარეველს, ბათუმამდე რომ ჩაეღწია. ხულოს რაიონის შემადგენლობაში რომ შევდიოდით, რაიონის პირველი პირების აქ მოსვლა არავის ახსოვს. იმხანად არც ქვეყნისა და აჭარის ხელმძღვანელებს აინტერესებდათ ნაღვარევი და შორეული სოფლები. მოვლინებულები ჭვანიდან ნაღვარევამდე ცხენით გადაადგილდებოდნენ. სოფელში დენი არ იყო და რადიო. კვირაში ორჯერ ფოსტალიონი გაზეთებს ჩამოარიგებდა, არმიაში მომსახურე ბიჭების წერილებით მშობლებს გულს გაუხარებდა, საპასუხო ბარათებს სოფლიდან წაიღებდა. ნაღვარეველები არ ვივიწყებთ იმ წვლილს, რაც აქაურთა სწავლა-აღზრდის საქმეში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოვლინებულმა პედაგოგებმა შეიტანეს. ეს საპატიო მისია 1927 წელს სარდიონ კალანდარიშვილმა ითავა. როცა სკოლაში შევედი, იგი 8-წლიანის სტატუსით მოქმედებდა. პირველი დირექტორი მიშა ვარშანიშვილი გახლდათ. განათლების სისტემაზე გამორჩეული აქცენტი იმიტომაც გადამაქვს, რომ რაიონის პარტიული და აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელები ლევან უკლება, რუბენ სირაძე, შალვა დევაძე, შემდგომში სოლომონ მაკარაძე, სიმონ ბერიძე, ვახტანგ წულუკიძე სკოლებს დიდ ყურადღებას უთმობდნენ. მათ კარგად ჰქონდათ გათავისებული განათლების მნიშვნელობა. ხელმძღვანელი პირი სოფელში რომ შემოვიდოდა, პირველად სკოლას სტუმრობდა. ისინი კომუნისტურ რეჟიმს კი ემსახურებოდნენ, მაგრამ ეროვნულობა, პატრიოტიზმი მათთვის უპირველესი იყო, მოგვიწოდებდნენ, ნიჭი და უნარი არ დაგვეკარგა. ჭვანის ხეობაში პირველი საშუალო სკოლა 1954 წელს გაიხსნა. ჩემი სოფელი სკოლას 20 კილომეტრით იყო მოშორებული. გონიერი და ჭკუადამჯდარი თანასოფლელების, ახლობლების დაჟინებული რჩევით, მეცხრე კლასში გავაგრძელე სწავლა. სახარბიელო და სანიმუშო პირობები არ გვქონდა, მაგრამ იხტიბარს არ ვიტეხდით. დღემდე არ მავიწყდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ნორა ღლონტის დედაშვილური დამოკიდებულება. კარგი კალიგრაფიის მოსწავლეს კედლის გაზეთის გამოშვებაში მონაწილეობა მთხოვა. წერილებით რომ ვერ შევავსეთ, საკუთარი ლექსი „ჩემო აჭარავ“ შევთავაზე. წაიკითხა, პუნქტუაციურად ჩაასწორა და გაზეთში ადგილიც მიუჩინა. რაიონის პირველმა პირმა რომ ნახა, ადგილობრივი გაზეთის მაშინდელ რედაქტორს დურსუნ კობალაძეს სთხოვა, გაზეთში დაებეჭდა. ამ ფაქტს იმიტომ ვიგონებ, რომ სტიმული მომცეს, ჩემში პოეტური ნიჭი არ ჩაკლეს. იმასაც გავიხსენებ, რომ მაშინ, ახლანდელივით, ოქროსა და ვერცხლის მედლებს უხვად არ არიგებდნენ, სკოლა ვერცხლის მედალზე დავამთავრე. სკოლის დამთავრებისთანავე, ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე.

**- ახლად გახსნილი რაიონის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებაზე ახალგაზრდობასთან რას იტყვით?**

- ადამიანები ისტორიას ნაყოფიერი, მამულიშვილური მოღვაწეობით შემორჩებიან. ჩემს ცნობიერებაში ასეთებად დარჩებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი პირველი პირები დავით მამულაძე, ლევან დავითაძე, აჭარის განათლების მინისტრი ვახტანგ წულუკიძე. ჩემი თაობის სტუდენტებს, შემდეგ უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებს განსაკუთრებულ ყურადღებას გვითმობდნენ. რაიონის ხელმძღვანელებსაც საქმიანი ურთიერთობები ჰქონდათ ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლის რექტორებთან. ნიჭიერ ახალგაზრდებს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე აწინაურებდნენ. თითქმის ერთდროულად მოვიდნენ რაიონის სტრუქტურებში შემდგომში წარმატებული ხელმძღვანელები ნოდარ ცეცხლაძე, მურმან ჭაღალიძე, იური ტაკიძე, მეცნიერები აკაკი ბერიძე, ოთარ თურმანიძე, რომან ზოსიძე. 1962 წლის მაისში 50 უმაღლესდამთავრებული შუახევის სკოლებში გაგვანაწილეს. მაშინ უკვე შუახევის რაიონი ცალკე ადმინისტრაციული ერთეული აღარ იყო. შუახევის მმართველობით რგოლებში აღმოჩნდნენ ერთეულები, რომლებმაც რაიონის შენარჩუნებას პრესტიჟული სამსახური ამჯობინეს.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- საქართველოში რაიონების გამსხვილება დღის წესრიგში რომ დადგა, აჭარის მთიანეთი თავდაპირველად ერთ რაიონად მოიაზრებოდა, რომლის ცენტრი ახალმშენებარე შუახევში უნდა ყოფილიყო. მოსაზრება თითქმის რეალობად იქცა, მაგრამ ქედასა და ხულოს უფრო დიდი „პატრონი“ გამოუჩნდა. ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ლიდერი ქედელების სიძე იყო და მათი პოზიცია დაიჭირა. რეალობას თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, იმ დროისთვის ხულოს რაიონს უკეთესი ინფრასტრუქტურა ჰქონდა. ჩვენ ქედელ და ხულოელ სტუდენტებთან თავს ვიწონებდით, რომ მალე დოლოგნისა და რიყეთის ტერიტორიებს შუახევის რაიონი დაერქმეოდა. ორი თვეც არ იყო გასული და შუახევის რაიონი გაუქმებულად გამოცხადდა. ამ ამბავმა ყველას გული დაგვწყვიტა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო.

**- პედაგოგი, სკოლის ყოფილი ხელმძღვანელი შემდგომ პერიოდს როგორ შეაფასებთ?**

- წყალი სათავიდან იმღვრევა. თავის დროზე ზოგიერთებს მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინათ, შუახევის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა არ შეჩერდებოდა. თავად ვიყავი მომსწრე, როგორ ზრუნავდნენ შუახევის რაიონის აღდგენისთვის ჯუმბერ დავითაძე, სანდრო მიქელაძე, ლევან, ვახტანგ მაკარაძეები, ჰინდო ფუტკარაძე, ნოდარ ცეცხლაძე, ვახტანგ ზოიძე, ალექსანდრე მიქელაძე. ამ ორომტრიალში ახალგაზრდობაც ვიყავით ჩართული. საზოგადოება უკვე ადგილობრივ პრესაში დაბეჭდილი ლექსებით მიცნობდა. კომპოზიტორმა იური თავბერიძემ ლექსის „ჩემო აჭარავ“ ტექსტის მიხედვით, მუსიკა დაწერა, რომელიც წლების განმავლობაში აჭარის სახელმწიფო ანსამბლის რეპერტუარში იყო.

**- მათემატიკის მასწავლებელი, შესანიშნავ მექართულედ და პოეტად მოევლინეთ საზოგადოებას. რა იყო ამის წინაპირობა?**

- პირველ რიგში, ამას ვუმადლი ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებს დურსუნ კობალაძეს, ალექსანდრე მიქელაძეს, სერგო კაკაურიძეს, მიხეილ ზოსიძეს, ოთარ ცინარიძეს. ისინი ჩემს შემოქმედებას ყოველთვის საპატიო ადგილს უთმობდნენ. ამაგს ვერ დავუკარგავ პროფესორს, მწერალს, ჭვანის ხეობის ღირსეულ მკვიდრს რამაზ სურმანიძეს, რომ არა მისი მცდელობა, ქართულ მწერლობას „ჭვანის ხეობის მეტამორფოზას“ ვერ დავუტოვებდი. მეგობრები ყოველთვის მაგულიანებდნენ. ისინი არც ახლა მტოვებენ უყურადღებოდ. 2020 წლიდან დამსახურებულ პენსიაზე გავედი. რიგი გარემოებების გამო, ზამთრობით ნაღვარევს ვტოვებ და ზღვისპირეთში გადავდივარ. ჩემს ცხოვრებაში ეს ურთულესი პერიოდია. საკმაოდ მდიდარი საკუთარი ბიბლიოთეკა ნაღვარევში მრჩება.

**- პენსიაზე რომ არ გასულიყავით?**

- ოჯახი, გარემოება ზოგჯერ გაიძულებს, თუნდაც საკუთარი თავისთვის არასასურველი გადაწყვეტილება მიიღო. 60 წელი თაობების აღზრდას შევალიე. ლექსების სამი კრებული ამ წლებში მიიღო მკითხველმა. წლების განმავლობაში სკოლას ვხელმძღვანელობდი. დირექტორობა თინა ქათამაძემ გადმომილოცა, რომელიც ადგილობრივ ქალბატონებს შორის, პირველი იყო, რომელიც სკოლას უძღვებოდა. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მისი მოადგილე ვიყავი. შუახევი და შუახეველობა ყოველთვის ძვირფასი იყო ჩემთვის. მშობლიური კუთხის სიყვარული, წინაპართა საქმეების ერთგულება საფუძველს მიქმნის, რომ იქ ვიყო, სადაც გული და გონება მკარნახობს.

**- აჭარის მთიანეთში იშვიათია სოფელი, რომელსაც ნაღვარეველთა სადარი სტუმართმოყვარეობა ახასიათებდეს.**

- სოფელს მურმან, გივი კილაძეების, ალექსანდრე დავითაძის, ისმაილ მურვანიძის, ემელიან წილოსანის, თინა ქათამაძის, მიხეილ ტაკიძის სახით წარმატებული და წარჩინებული ადამიანები არ აკლია. მათი თანადგომით, ტრადიცია გრძელდება.

**- შუახევის ისტორიიდან მნიშვნელოვანს კიდევ რას გაიხსენებდით?**

- დელეგაციის ჩასვლას თბილისში, რომლის შემადგენლობაში ჭვანელებიც იყვნენ. ქვეყნის მაშინდელმა ლიდერებმა ვასილ მჟავანაძემ, გივი ჯავახიშვილმა, გიორგი ძოწენიძემ შუახევის წარმომადგენლებს გულისყურით მოუსმინეს. ჯუმბერ დავითაძემ და ლევან მაკარაძემ კი მოსკოვში 1500 შუახეველის ხელმოწერა ჩაიტანეს და... მალე შუახევი ისევ ადმინისტრაციულ ერთეულად - რაიონად გამოცხადდა. ზეიმი იყო. ამ მოვლენას ლექსიც მივუძღვენი. ჩემი დირექტორობის წლებში ნაღვარევის 8-წლიანი სკოლა საშუალოდ გადაკეთდა. მრავალი ღირსეული პიროვნება აღიზარდა ამ საგანმანათლებლო კერაში. 60 წლის განმავლობაში, როცა პედაგოგი, დირექტორი ვიყავი, სოფელს ღირსეული სტუმარი არ მოჰკლებია. გასული საუკუნის 70-იან წლებში მშობლიური ნაღვარევიდან კახეთში, სამთაწყაროში 30 ოჯახის საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, ჩვენი სამოქმედო არეალი უფრო გაფართოვდა. ცნობილი მწერლები, კინოსა და თეატრის წამყვანი მსახიობები გვსტუმრობდნენ. მუდამ მათი მასპინძელი და უცვლელი თამადა ვიყავი, მთა მერიაყელშიც ავიყვანეთ. მათთან ურთიერთობამ წიგნების გამოცემისკენ მიბიძგა. მიხარია, რომ განვლილ გზაზე კიდევ ერთხელ ვისაუბრე თქვენი გაზეთის საშუალებით.

**- ნაღვარეობის სახალხო დღესასწაულსაც დაუდეთ სათავე...**

- ამ წამოწყების ინიციატორი სოფლის მკვიდრი, შუახევის მუნიციპალიტეტის ახლანდელი მერი ომარ ტაკიძეა. მჯერა, ეს წამოწყება თაობებს გადაეცემა.

# ჩოგბურთელებმა ძალები მოსინჯეს

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საკრებულოს და ა(ა)იპ «შუახევის სასპორტო სკოლის» ორგანიზებით, საგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს შორის მაგიდის ჩოგბურთში რაიონული ტურნირი ჩატარდა. პირადი პირველობისთვის ერთმანეთს 2007-2009 და 2010-2012 წლებში დაბადებული იუნიორები ეჯიბრებოდნენ. წინა წლების მსგავსად, ტურნირზე კარგად მომზადებული ჩოგბურთელები მიავლინეს ჯაბნიძეების, უჩამბის, ქიძინიძეების, ჭვანის სკოლებმა.

2007-2009 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის საუკეთესო იყო ჯაბნიძეების საჯარო სკოლის მოსწავლე ლიკა მუკუტაძე. ამ ასაკობრივ ჯგუფში ვაჟებს შორის წარმატებით იასპარეზა მისმა თანასკოლელმა ნოდარ ზოსიძემ.

2010-2012 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის პირველი ადგილი უჩამბის საჯარო სკოლის მოსწავლე ლუკა ბერიძემ დაიკავა. ამ ასაკობრივ ჯგუფში გოგონათა შორის გამარჯვებული არ გამოვლენილა.

საპრიზო ადგილებზე გასულ იუნიორ ჩოგბურთელებს მედლები, საპატიო სიგელები და თასები შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილე გიორგი კეკელიძემ გადასცეს.

მალე პირადი პირველობაც უფროსი ასაკობრივი ჯგუფის გოგონებსა და ვაჟებს შორის ჩატარდება. წარმატებული ჩოგბურთელები აჭარის პირველობაზე იასპარეზებენ.

- მას შემდეგ, რაც სპორტის ამ სახეობაში ხულოს მუნიციპალიტეტის ვაშლოვანის, ქედის მუნიციპალიტეტის ვაიოს სკოლების მოსწავლეებმა საერთაშორისო სარბიელზე წარმატებები მოიპოვეს, მაგიდის ჩოგბურთი უფრო პოპულარული გახდა. რაიონულ ტურნირზე ახალი სახეები ვიხილეთ. მისასალმებელია ქიძინიძეების სკოლის მოსწავლეების აქტიურობა. მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების გამო რიგმა სკოლებმა გუნდების გამოყვანა ვეღარ შეძლო, - გვითხრა შუახევის სასპორტო სკოლის დირექტორმა რამინ ჯოიძემ.

